# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 30 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 264-265 (6364-6365)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რა მოაქვს ვეფხვის წელიწადს?..





ნუ დაიჯერებთ ბრიყვულ მტკიცებას, რომ ჩვენს „ღვთისმშობლის წილხვედრ“ ქვეყანას მძვინვარე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მორცხვად გვერდი აუარა. ასეთი რამ ბუნებაში ჯერ არ მომხდარა და კიდევ დიდხანს არ მოხდება.

პრეზიდენტი ხშირად და საჯაროდ ლაპარაკობს მინისტრ მერაბიშვილის კარგ მუშაობაზე, ძმნის ახალ-ახალ სპეციალური დანიშნულების, საიდუმლო და ზესაიდუმლო რაზმებს.



2 4

## ქ. თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება ქ. თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის შესახებ

5-36



## პრაგმატიზმი რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

41

THE CHRISTIAN SCIENCE MONITOR



## ვინ დანიშნა გამცვლელად, იაკობაშვილი?!.

მოდის ე.წ. სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი და ჩვეულ სპეკულაციურ განცხადებას აკეთებს (ფრაზა „მისთვის ჩვეული სპეკულაციური“ დავწერე როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით).

იგი მზად არის „გაცვალოს სტალინის ძეგლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე და ხურდაში მერაბ ბერძენიშვილიც მიაყოლოს“.

2



რამაზ საყვარელიძე:

## რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები, შესაძლოა, ხაფანგში შესატყუებელი რეალობა გამოდგეს

3



გია მეფარიშვილი:

## რა საიდუმლოებაზეა საუბარი, როდესაც ამის მოსმენა მეორე დღესვე ტელევიზიებით შეგვიძლია?!

## დევნილი პედაგოგები კუთვნილ ხელფასებს ითხოვენ!

## გაბრაზებული კაცის რეპლიკა

# ვინ დაგნიშნა გამცვლელად, იაკოფაჯან?!.

**მაპატიე, ძვირფასო მკითხველო, იმის გამო, რომ ამ წერილის სათაურს არც ისე „სტანდარტულად აღშფოთებული“ ფორმა აქვს, მაგრამ როდესაც წაიკითხავ, მიხვდები, რომ სხვა რამის დარქმევა ნამდვილად არ ღირდა.**

ის ტრაგიკული სისულელე, ის დანაშაული, ის მიზანთროპული გამოხდომა, რაც ხელისუფლებამ 19 დეკემბერს ჩაიდინა, ძალიან გასცდა საზოგადოების განხილვის არეალს და მასზე კომენტარის გაკეთება უკვე ფსიქიატრების პრეროგატივას მიეკუთვნება.

ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს დაღუპული 300 000 ჩვენი ნათესავის, ჩვენი ახლობლების, ჩვენი მეზობლების მშობლების ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლის ვანდალურად დანგრევას საშინელი ტრაგედია მოჰყვა.

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ: არა ერთ-ერთი გენიალური ქართველი მოქანდაკის ნაწარმოების (გვარს სპეციალურად არ ვასახელებ), არამედ ჩვენი სისხლისა და ხორცის გმირობის სადიდებლად მიძღვნილი ძეგლის ფსიქიკური დაჟინებით დანგრევას დედა-შვილის სიცოცხლე შეეწირა.

მასმედიის საშუალებებში ბევრი რამ ითქვა და ბევრი რამ დაიწერა.

კიდევ ბევრი რამ ითქმება და კიდევ ბევრი რამ დაიწერება, როგორც ე.წ. ხელისუფლების წარმომადგენლის, ასევე სხვა მრავალი მოქალაქის მიერ, მაგრამ მე მინდა, იმ რამდენიმე ნიუანსს მივაქციო ყურადღება, რომლებზეც ალბათ არ ილაპარაკებენ.

აფეთქება მოხდა დაჩქარებული წესით, რამდენიმე სავალალოდ მარტივი მიზეზის გამო:

1. სააკაშვილს შეეშინდა, რომ 21 დეკემბერს (ახლა არა აქვს მნიშვნელობა, მისი დაბადების დღეა თუ სტალინისძ საზოგადოების წარმომადგენლები შეეცდებოდნენ ძეგლის ნგრევისთვის ხელის შეშლას.

2. რუსეთის ხელისუფლებამ საკმაოდ სერიოზული განცხადება გააკეთა ამ ძეგლის დანგრევასთან დაკავშირებით.

3. სააკაშვილი კოპენჰაგენში წავიდა (ე.ი. მან ნებისმიერი შედეგიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ყველანაირი პასუხისმგებლობის მოხსნა სცადაძ.

4. ამ ძეგლის აფეთქებით მიხეილ სააკაშვილმა და მისმა გუნდმა ჩვეული მლიქვნელობით დაუჭირეს მხარი იმ აზრს, რომ ფაშიზმი ამერიკელებმა დაამარცხეს.

მმართველი გუნდის წევრებისა და მათი იდეოლოგიური ბელადების შესახებ, ნამდვილად არაფერს არ ვიტყვი.

აბა, რა უნდა ვთქვა?

რა, ისევ გავიმეორო ათასჯერ გაცვეთილი ფრაზები, რომ ისინი უჯიშო, ურწმუნო და უსქესო არსებები არიან?

კარგით. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „თავისუფლების ინსტიტუტი“, თავის „შვილეულ“ ორგანიზაციებთან ერთად, უჯიშო, ურწმუნო და უსქესო არსებები არიან.

ვიტყვი, მაგრამ რა?

მე ხალხის ნიჰილიზმმა, საზოგადოების დუმილმა და „ფეხებზემკიდიაობამ შემაშინა.

ხალხო! ნუთუ ისე დაგაბეჩავათ იმ 20-20-მა ლარმა, რომ თქვენი ბაბუების, თქვენი ნათესავების, თქვენი ახლობლების საერთო საფლავი ააფეთქებინეთ?

ნუთუ ისე დაგაბეჩავათ იმ 20-20-მა ლარმა, რომ ვიღაცის პარანოიდული ბრძანების გამო დაღუპული დედა-შვილის სისხლი არ აღგაშფოთებთ?

ჩემთვის გასაგებია, რომ საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტში, დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გამო, გაღიზიანებას იწვევდეს „სამშობლოდან“ ჟურნალისტების გამოყრა-გამოძევების, წართმეული კომპოზიტორთა სახლის, დარბეული მწერალთა კავშირის, გაბახებული „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, უპატრონოდ დარჩენილი „იმედის“ დასაცავად გამოთქმული პროტესტი და მათში ერთ ფრაზას ბადებდეს: **მე რომ უმუშევარი და გაჭირვებული ვარ, ისინი თუ იღებენ ჩემს დასაცავად ხმასო.**

ეს ყველაფერი გასაგებია.

გასაგებია, მაგრამ ჩემთვის მიუღებელია, მიუღებელია, რადგანაც ამ ყველაფერს ის მოჰყვა, რომ 300 000 ჩემი და თქვენი ნათესავის საფლავი დაანგრიეს.

დედა-შვილი მოკლეს.

სწორედ ამ დროს გამოდის ე.წ. სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი და ჩვეულ სპეკულაციურ განცხადებას აკეთებს (ფრაზა „მისთვის ჩვეული სპეკულაციური“ დავწერე როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობითძ. იგი მზად არის „**გაცვალოს სტალინის ძეგლი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთსა და ხურდაში მერაბ ბერძენიშვილიც მიაყოლოს“.**

ამაზე მეტი ზიზღი, სიძულვილის ამაზე მეტი გამომჟღავნება არსად მსმენია. თვით თეა თუთბერიძის ან ლევან რამიშვილისგანაც კი.

ჯერ ერთი, ჩემო იაკოფა (ეს დამამცირებელი თიკუნი კი არა, მისი სტუდენტობის დროინდელი „კლიჩკააძ, გაცვლილი აფხაზეთი და სამაჩაბლო არავის არ სჭირდება, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ეს ჩვენი სამშობლოა და არა გადამცვლელი პუნქტი და მეორეც: შენ და შენნაირებს რომ გეხებათ ამ ქვეყანაში რაღაც-რაღაცების გადაწყვეტა, იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად.

**რაც შეეხება იმას, თუ რას გაცვლიდა ქართველი ხალხი საახალწლოდ, პირდაპირ ვიტყვი, რომ მზად ვართ მთელი თქვენი ხელისუფლება ვაჩუქოთ, კი არ გავუცვალოთ, არამედ ვაჩუქოთ ნებისმიერ ქვეყანას. ტრანსპორტირებისა და საბაჟო ხარჯებსაც ჩვენ გადავიხდით. მაგრამ ვაი, რომ ასეთი, ალბათ, არავინაც არ გამოჩნდება.**

**გია გაბრიჭიძე**

## დღეს — ხვალისთვის

# რა მოაქვს ვეფხვის წელიწადს?...

**„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ ქვეყნის მოქალაქეებს საქმე საზეიმოდ არა გვაქვს, მაგრამ ჩვეულება ხომ რჯულზედაც უმტკიცესია — ახალ წელს გილოცავთ, ჩემო ძვირფასებო და მოთმინებას გისურვებთ!**

ვიცი, ახალი წლის დადგომას პრეზიდენტი ხავრიელი დაპირებებით მოგვილოცავს, ბევრს იტრაბახებს არარსებული არნახული წარმატებების გამო, ხვალესაც ცისარტყელას ყველა ფერში დაგვიხატავს, მაგრამ, ჩემი ფიქრით, მომავალი „თეთრი ვეფხვის“ წელიწადი არაფრით არ იქნება მიმავალ „მწითურ ხარზე“ უკეთესი. პირიქით, გაცილებით უარესი იქნება. ჩვენ, საბრალო ქვეყნის უბრალო მოქალაქეები ისევ იმ ხარებად და ძროხებად დავრჩებით, სასტიკი და უნამუსო პატრონი დღენიადაგ რომ აშიმშილებს და გამომშრალი ცურიდან სიცოცხლის უკანასკნელ ნიშატსაც სწოვს.



იმ მოქალაქეებს ვგულისხმობ, ვისაც კაზინოებში, ბანკებში, სასტუმროებში, რესტორნებში, ბაზრობებში, ნავთობში ან სუპერმარკეტების ძსელში წილი არ გვიდევს და არც საერთო-საქვეყნო სალაროში ხელის ფათურის საშუალება გვაქვს, ანუ არ ვგულისხმობ საქართველოს მოქალაქეთა იმ ათ პროცენტზე ნაკლებს, ვისაც ყველა ეს საშუალება გააჩნია, ყოვლისშემძლე მფარველი ჰყავს და უსაზღვრო ძალაუფლებითაც სარგებლობს.

### სიდუხჭირის ახალი ტალღა

**ნუ დაიჯერებთ ბრიყვულ მტკიცებას, რომ ჩვენს „ღვთისმშობლის წილხვედრ“ ქვეყანას მძვინვარე მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა მორცხვად გვერდი აუარა. ასეთი რამ ბუნებაში ჯერ არ მომხდარა და კიდევ დიდხანს არ მოხდება. თუმცა, სწორია ჩვენი ხელისუფლების ამაყი განცხადებები, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდმა უმრავლესობამ (90 პროცენტზე მეტმა!ძ კრიზისის სისასტიკე ვერ იგრძნო.** ვერც იგრძნობდა, რადგან ეს არის საქართველოს მოქალაქეთა სწორედ ის ნაწილი, რომელსაც საკუთარი ეკონომიკური უსასობის გამო არც რაიმეს შექმნა შეეძლო და არც რაიმეს დაკარგვა!

სამაგიეროდ, ახალი ეკონომიკური კრიზისი ღვთის რისხვად მოევლინა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებს და მათ ძართული პრობლემები საბოლოოდ დაავიწყა. **საქართველოს “ასალორძინებლად“ მათგან გამომეტებული ოთხნახევარი მილიარდი დოლარი (რომელიც, სხვათა შორის, ჩვენამდე ვერ აღწევს!ძ, არის ვალი, რასაც არავინ შეგვარჩენს და, რაც ხვალ ჩვენმა შვილებმა საკუთარი სისხლით (სწორედაც, სისხლითძ და მონური შრომით უნდა ზღონ!**

უმორჩილესად გთხოვთ, გაიხსენოთ, ძირითადად რას „ხსნის“ ასე ხშირ-ხშირად პრეზიდენტი სააკაშვილი. დიახ, ეს არის სასტუმროები, გასართობი და სავაჭრო ცენტრები, ბანკების ოფისები და ადმინისტრაციული შენობები, ანუ საქართველოში დიდი ხანია, არ შენდება ის ნაგებობები, სადაც ეროვნული პროდუქტი შეიქმნებოდა.

სხვა საქმეა, ვინ და რა პირობებით აშენებს სასტუმროებს, გასართობ და სათამაშო დაწესებულებებს, სავაჭრო ცენტრებს, ნავსადგურებს თუ აეროპორტებს, ვინ და რა მიზნით ეპატრონება ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს. ნუ დაიზარებთ, მიბრძანდით, ვთქვათ, სასტუმრო „რედისონში“ (გუშინ „ივერია“ რომ ერქვაძ იქ ერთი ღამის გასატარებლად — ამას თქვენი სამი თვის შემოსავალი მაინც დასჭირდება!

ნუ შეგაცბუნებთ ის ამბავი, რომ რესტორნებსა და კაზინოებში მუდამ საკმაოდ ბევრი ადამიანი ირევა. ეს ის ადამიანებია, ჩვენი მოქალაქეების ათ პროცენტზე ნაკლებს რომ შეადგენენ, ხელისუფლებასთან საეჭვოდ დაახლოებული და საეჭვოდ გამდიდრებული ადამიანები.

იხ. 4 გვ.

## აქცია

# დევნილი პედაგოგები კუთვნილ ხელფასებს ითხოვენ!

**წინასაახალწლოდ დევნილმა პედაგოგებმა ყველა საქმე გვერდზე გადადეს და აქციის გასამართად (სხვადასხვა რაიონიდანძ თბილისისკენ გამოეშურნენ. გუშინ მათ პრეზიდენტის რეზიდენციის წინ საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის დახმარებით აქცია გამართეს.** პედაგოგების მოთხოვნაა, რომ გაუმჯობესდეს მათი სოციალური მდგომარეობა, რათა შეძლონ პროფესიული ღირსების შენარჩუნება; შეწყდეს დევნილების „ძველ“ და „ახალ“ კატეგორიებად დაყოფა; დევნილი პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის ბიუჯეტიდან გამოიყოს საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის თანხები; გაგრძელდეს დევნილი პედაგოგებისთვის კომპენსაციის გაცემა; დაფინანსდეს დევნილი ბავშვების განათლება უმაღლეს სასწავლებლებში და სხვა...



**მანანა ღურჭუმელიძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის თავმჯდომარე:** „ვითხოვთ, რომ დევნილი მასწავლებლებს შეუნარჩუნდეთ ის ხელფასები, რაც მათ დევნილობის პერიოდში ჰქონდათ (290 ლარიძ, იმის მიუხედავად, რომ ისინი 2008 წლის აგვისტოს ომის გამო დასაქმებული არ იყვნენ. ჩვენ ერთი კვირის წინათ გვქონდა ფორუმი, სადაც მოვიწვიეთ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ სახალხო დამცველის გარდა არავინ მოვიდა. მათ შორის ჟურნალისტებიც. გვინდა, რომ პრეზიდენტმაც გაიგოს ამ მასწავლებლების გასაჭირი, რომლებიც დღეს რაიონებიდან ჩამოვიდნენ. აქამდეც ვუგზავნიდით პრეზიდენტს წერილებს, თუმცა უშედეგოდ, გამოხმაურება არცერთხელ არ მოჰყოლია. ასევე გვქონდა შეხვედრა განათლების ახალ მინისტრთან, რომელმაც სურვილი გამოთქვა ახალი წლის შემდეგ შეხვდეს პედაგოგებს და ესაუბროს მათ“. — დასძინა ღურჭუმელიძემ.

დიდი ლიახვის ხეობიდან ჩამოსული ხეითის სკოლის ყოფილმა დირექტორმა ნანული ბურძგლამ თავისი გასაჭირი და პრობლემები ღიად ამცნო აქციაზე შეკრებილთ, მას გული სტკივა, რადგან ამდენი წლის სტაჟი ერთი ხელის მოსმით უუქმდება და ლუკმაპურის შოვნა კიდევ უფრო გაუჭირდება.

„თბილისში იმისთვის ვართ ჩამოსულები, რომ პრეზიდენტს ვთხოვოთ დევნილ პედაგოგებს ისედაც მათხოვრული ხელფასი არ წაგვართვას. ასევე აგვინაზღაუროს ის, რაც აქამდე პროგრამით ხორციელდებოდა დევნილ პედაგოგებზე, წელიწადში 1200 ლარი, რადგან ცხელ წერტილში მომუშავენი ვიყავით. ახლა ესეც შეგვიწყვიტეს და ამ მათხოვრულ ხელფასსაც გვართმევენ. მთელი პედაგოგების სახელით ვითხოვთ, დაგვიბრუნონ ძველი ხელფასები. ჩვენ გვჯერა პრეზიდენტის, რომ გულთან მიიტანს ჩვენს გასაჭირს და გამოგვეხმაურება“, — აღელვებული ხმით დაასრულა საუბარი გამწარებულმა პედაგოგმა. აქციაზე შეკრებილთა შორის ზემო აფხაზეთის სკოლის მასწავლებელებიც იყვნენ და მათი ძირითადი მოთხოვნაც სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო.

ამასთან დაკავშირებით რეზოლუცია საქართველოს პრეზიდენტს, განათლების მინისტრსა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს უკვე გაუგზავნეს. იმედოვნებენ, რომ პრეზიდენტის რეზიდენციასთან გამართული აქციით ისინი ხელისუფლების მხარდაჭერას მოიპოვებენ. გვერდში დაუდგებიან საკუთარი სახლებიდან გამოძევებულ პედაგოგებს, რომელთაც დაკარგეს თავიანთი კუთხე, მაგრამ არ დაუკარგავთ პროფესია. ამ საპროტესტო აქციით ისინი სწორედ პროფესიის შენარჩუნებას ცდილობდნენ.

**ხატია მუსერიძე**

## ინფორმაცია

### პუტინი დიდების მემორიალს მაინც აღადგენს

**ქუთაისში** აფეთქებული „დიდების მემორიალის“ მოსკოვში აღდგენა საქართველოს ხელისუფლებისთვის „ცხვირში კიდევ ერთი გარტყმა იქნება“, რომელმაც ისტორიული ხსოვნის წინაშე დანაშაული ჩაიდინა. ეს განცხადება რუსეთის ფედერაციის პრემიერმა ვლადიმერ პუტინმა გააკეთა.

— აფეთქებული „დიდების მემორიალის“ მოსკოვში აღდგენა საქართველოს ხელისუფლებისთვის ცხვირში კიდევ ერთი დარტყმა იქნება, ეს ყველას კარგად ესმის და, რა თქმა უნდა, იქნება ზეწოლა მემორიალის ავტორზე, რომ მან მოსკოვში დიდების მემორიალის აღდგენაში მონაწილეობა არ მიიღოს, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

ჯი-ეიჩ-ენი

ვარაუდი



***2009 წელს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დაპირისპირება-თანამშრომლობის შედეგებზე, 2009 წელს ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიერ დაშვებულ უმთავრეს შეცდომებზე და 2010 წლის სავარაუდო პერსპექტივებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.***

# რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები, შესაძლოა, ხაფანგში შესატყუებელი რეალობა გამოდგეს

**— თქვენი აზრით, 2009 წელს საქართველოს საშინაო პოლიტიკაში რომელი მოვლენა იყო უმნიშვნელოვანესი და რატომ?**

— ორიგინალური უდავოდ ვერ ვიქნები, რამდენადაც, ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ 2009 წელს საშინაო პოლიტიკაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა გახლდათ ე. წ. აპრილის მოვლენები. რა თქმა უნდა, აქცენტი შეფასებაში სხვადასხვა კომპონენტზე კეთდება, მაგრამ მისი მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია. ამ აქციებში გამოვყოფდი იმ გარემოებას, რომ ეს ყველაზე ხანგრძლივი აქცია გახლდათ, რომელმაც ამდენი ხანი გაძლო არა იმდენად ოპოზიციური ლიდერების ძალისხმევით, რამდენადაც თავად საზოგადოებაში ოპოზიციური მუხტის სიმტკიცის გამო. ეს აქციები მნიშვნელოვანი იყო იმით რომ, იგი საზოგადოებაში არსებული განწყობილების საზომი აღმოჩნდა.

**— რა შეიძლება ჩაითვალოს 2009 წელს საქართველოსთვის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საგარეო პოლიტიკაში და რა გავლენა იქონია მან საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე?**

— საგარეო პოლიტიკაში ალბათ ყურადღებამისაქცევია ბევრი ფაქტი. ამერიკასთან სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული ქარტია, თავისთავად პოზიტიურია; უმაღლესი დონის შეხვედრებში ქართული თემა, როგორც წყალგამყოფი, აქტუალური იყო რუსულ-ამერიკულ, ნატო-რუსეთის ურთიერთობებში, მაგრამ სამწუხაროდ, ამ ნაბიჯებს რეალური შედეგი ნამდვილად არ მოჰყოლია.

საქართველოსთვის 2010 წელს საგარეო პოლიტიკაში შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი გაგრძელება მოჰყვეს იმ მოვლენებს, რომლებსაც კავკასიაში ჰქონდა ადგილი. მხედველობაში მაქვს თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების გაუმჯობესება. პროგნოზი იმისა, როგორ გაგრძელდება ეს პროცესი, ყველას უჭირს, ვიცით, რომ ისინი ახლა, გარკვეული თვალსაზრისით, ჩიხშია შესული, მაგრამ 2010 წლისთვის ეს კვანძი რაღაცნაირად უნდა გაიხსნას. მეჩვენება, რომ ეს პროცესი მთლიანად რეგიონისთვის და საქართველოსთვის, როგორც ამ რეგიონის ერთ-ერთი წამყვანი ქვეყნისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. საქართველოსთვის საგარეო პოლიტიკაში 2009 წლის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად სწორედ რომ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების დაწყებისა და დაახლოების თემას ჩავთვლიდი.

**— რა შეცდომა დაუშვა საქართველოს ხელისუფლებამ 2009 წლის საგარეო პოლიტიკაში?**

— ხელისუფლების მთავარი შეცდომა ამ წელს ძნელი გამოსაყოფია ადრეული შეცდომებისგან, ახლა მე ვგულისხმობ 2008 წლის აგვისტოს, რამაც ხელისუფლებას ხელ-ფეხი შეუკრა ბევრი მიმართულებით. მედიამ ბევრი ილაპარაკა ტალიავინის დასკვნაზე. ფაქტია, რომ ტალიავინის კომისიის დასკვნამდეც და განსაკუთრებით დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები იშვიათად ჩანან საერთაშორისო არენაზე. აშკარაა, რომ დასავლეთი თავს არიდებს საქართველოსთან ისეთ ურთიერთობას, რომელიც საქართველოს რაიმე პოლიტიკური ინიციატივის საშუალებას მისცემდა. აშკარად იკითხება უნდობლობა საქართველოს მიმართ და, სამწუხაროდ, ეს ფონი დღემდე გრძელდება. თუ 2009 წლის შეცდომაზე ვილაპარაკებთ, ალბათ, შეცდომა ის არის, რომ საქართველოსადმი დასავლეთის დამოკიდებულების კლიმატის შეცვლის გასაღები საქართველოს ხელისუფლებამ ვერ იპოვა და ეს, ბუნებრივია, ქვეყნისთვის დიდი სირთულეა.

**— რა შეცდომაა დაშვებული 2009 წელს საშინაო პოლიტიკაში?**

— რაც შეეხება საშინაო პოლიტიკას, მისი თემა ისევ აპრილის მოვლენებს უკავშირდება. აპრილის მოვლენებისას ხელისუფლებამ მანევრირების უნარი გამოავლინა და თუ შეიძლება ასე ითქვას, საკმაოდ ელასტიურად მოქმედებდა. ეს არ ნიშნავდა, რომ მან დემოკრატიული სულისკვეთებით მიიღო ეს პროცესი. მოგეხსენებათ, სიბნელის დადგომისთანავე ქუჩებში 2007 წლის ნოემბრის მოვლენების სტილი ისადგურებდა. თუმცა, ფაქტია, რომ ხელისუფლებამ თავის თავში დაძლია ძალის გამოყენების ის სურვილი, რომელიც იმ პერიოდში აშკარად იკითხებოდა და ეცადა, საქართველოს მოსახლეობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე წარმსდგარიყო, როგორც - მომთმენი ხელისუფალი. გარდა იმისა, რომ 2007 წლის ნოემბრის მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ეს მის იმიჯს სჭირდებოდა, ხელისუფლებამ იცოდა, რომ დასავლეთი ძალადობას არ აპატიებდა. ამავე დროს, ხელისუფლების მოქმედება საკმაოდ შედეგიანი სტრატეგიული ჩანაფიქრი აღმოჩნდა. მხედველობაში მაქვს ის, რომ აქციების უშედეგობამ შესაძლებელი გახადა აქციების დაშლა. ეს ჩანაფიქრი ხელისუფლებამ საკმაოდ ეფექტიანად განახორციელა. საზოგადოება დაიღალა აქციებზე ყოფნით, ერთი და იმავე სიტუაციის ყოველდღე განმეორებით, რამაც საბოლოოდ გადაწყვიტა აქციების ბედი. ასე რომ, ხელისუფლებამ საშინაო პოლიტიკის ამ ძალიან რთულ ეტაპზე სტრატეგიული აზროვნება და ამ სტრატეგიის ბოლომდე მიყვანის უნარი გამოავლინა.

**— რუსეთი საქართველოს ყურადღებას „არასდროს არ აკლებდა“, მაგრამ ახლა რუსეთის მიმართულებით ქართული პოლიტიკური წრეებიც გააქტიურდნენ. როგორ შეაფასებდით ამ პროცესის გააქტიურებას და იმას, რომ რუსეთისგან საქართველოს დეოკუპაციის დაწყების ნაცვლად, ახლა მოსკოვთან დიალოგის დაწყების თემა ყველაზე აქტუალური გახდა? და საერთოდ, კრემლთან დიალოგის რეჟიმზე გადასვლა რისი მომასწავებელი შეიძლება იყოს?**

— რუსეთთან დიალოგის რეჟიმში გადასვლა არა მარტო რუსეთიდან წამოსული პოლიტიკაა და ეს აშკარად ჩანს მედვედევისა და პუტინის გამოსვლებში. დასავლეთმაც რამდენჯერმე გაიმეორა ეს რეცეპტი, რომ საქართველომ უნდა მოაგვაროს ურთიერთობა რუსეთთან და მერე შეიძლება ლაპარაკი საქართველოს დასავლეთის ვექტორზე, კერძოდ ნატოზე. სავარაუდო იყო, რომ მოვლენები ამ მიმართულებით განვითარდებოდა. სავარაუდო იყო იმ მხრივაც, რომ ობამასეული გადატვირთვის პოლიტიკა გულისხმობს, რომ არა მარტო ამერიკამ, არამედ მისმა პარტნიორმა ქვეყნებმაც უნდა იზრუნონ ამავე სტილის პოლიტიკაზე. ხომ არ შეიძლება ობამა იყოს გადატვირთვის პოლიტიკის გამტარებელი და პარტნიორები იყვნენ კონფრონტაციის პოლიტიკის მატარებლები. ამერიკა მოუწოდებს ყველას, იმავე პოლიტიკურ სტილში ჩაჯდნენ, რაც მას ამ ეტაპზე ახასიათებს.

მეორე მხრივ, რუსეთს აწყობს, რომ აგვისტოს მოვლენების მიერ შელახული იმიჯი გამოასწოროს. 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა მიაღწია, რაც სურდა. არ ვგულისხმობ მხოლოდ ტერიტორიების დაკავებას, საუბარია იმაზე, რომ რუსეთს სურდა, მსოფლიოს შეშინებოდა რუსეთის და საერთაშორისო არენაზე მისთვის ანგარიში გაეწია.

იხ. 4 გვ.

SIC!



***როდესაც ხელისუფლების რომელიმე მაღალჩინოსანი ოპოზიციაში გადადის, მაშინვე შევიტყობთ ხოლმე, რომ თურმე ეს ჩინოსანი, საზოგადოებას ხელისუფლების მთავარი იდეოლოგი რომ ეგონა, წლების განმავლობაში ფარულ ოპოზიციაში იყო. ხელს არც ხელისუფლების წარმომადგენლები აკლებენ — თურმე, მათი გაოპოზიციონერებული თანაგუნდელი, ფორმალურად სახელმწიფოში მეორე თუ მესამე პირი, ყოველთვის მავნებლობით გამოირჩეოდა, მაგრამ თანაგუნდელები მის აღზრდას და მორჯულებას ცდილობდნენ. ამ სიტყვიერ დუელში კი, ხელისუფლებაში მომხდარ მოვლენებზე ისეთი ამბები ჟონავს, რომ, შესაძლოა, თმები ყალყზე დაგიდგეს ადამიანს.***

***თუმცა, სახელმწიფოსთვის მთავარი ის არის, რომ უკვე დანასისხლად გადამტერებულმა ყოფილმა თანაგუნდელებმა ერთმანეთის კიდევ უფრო გასამწარებლად არ გაამჟღავნონ ისეთი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფოს საიდუმლოებას წარმოადგენს.***

***ყოფილი გენერალური პროკურორისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი წევრის გია მეფარიშვილის თქმით, ამას კანონი არეგულირებს, თუმცა გასამჟღავნებელი, მაინცდამაინც, არაფერია.***

# რა საიდუმლოებაზეა საუბარი, როდესაც ამის მოსმენა მეორე დღესვე ტელევიზიებით შეგვიძლია?!

— ამ საკითხს არეგულირებს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც, თუ პირმა შეიტყო ისეთი ინფორმაცია, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენს, არ უნდა გათქვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ადრე, სხვათა შორის, იგივე მოთხოვნა არსებობდა დეპუტატებისადმი, როგორც საპარლამენტო უმრავლესობის, ისე უმცირესობის წევრების მიმართ. რადგან, შესაძლოა, პარლამენტარმა დახურულ სხდომაზე მოისმინოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც საიდუმლოებას წარმოადგენს.

**— და ეს რა ფორმით ხდება? რაიმე დოკუმენტზე აწერენ ხელს?**

— დეპუტატები ბლანკს ავსებდნენ.

**— რომელ სფეროში არსებული ინფორმაცია განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოებას?**

— თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, სახელმწიფო უშიშროების და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში.

**— რა სასჯელს ითვალისწინებს სახელმწიფო საიდუმლოების გათქმა?**

— ზუსტად არ მახსოვს, თუ არ ვცდები, 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა. დღეს არ ვიცი როგორ არის.

**— ყოფილა მსგავსი პრაქტიკა, რომ სახელმწიფო საიდუმლოების გათქმის გამო სასამართლო პროცესი გაიმართა ან სისხლის სამართლის საქმე აღიძრა?**

— რა თქმა უნდა, მსგავსი პრაქტიკა იყო.

**— იქნებ ამაზე უფრო დეტალურად ვისაუბროთ.**

— არა, მე არ მაქვს უფლება, რომ ეს ინფორმაცია მოგაწოდოთ.

**— და იქნებ ის წლები მაინც დაგვისახელოთ, როდესაც სასამართლო პროცესი გაიმართა.**

— ეს ხდებოდა როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. წლებსაც ვერ დაგისახელებთ, რადგან ეს ჩემი მხრიდან არაკორექტული იქნება.

**— ისე, 2004 წლიდან მოყოლებული უშიშროების საბჭოს ოთხი ყოფილი წევრი რადიკალურ ოპოზიციაში გადავიდა. თქვენი აზრით, არ არის იმის საფრთხე, რომ მათ ის ინფორმაცია, რომელსაც ფლობენ, საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენონ?**

— მნიშვნელობა არ აქვს, პირი ოპოზიციაშია თუ ხელისუფლებაში, სახელმწიფო საიდუმლოების გამჟღავნებისთვის, მას პასუხისმგებლობა დაეკისრება. ეს თანამდებობის ყოფილმა პირებმა კარგად იციან. ასე რომ, კანონი ამას არეგულიერებს.

**— ალბათ, არ არის აუცილებელი რომელიმე ყოფილმა მაღალჩინოსანმა საჯაროდ ილაპარაკოს სახელმწიფო საიდუმლოებაზე. მაგალითად, მას შეუძლია, შეხვდეს სხვა სახელმწიფოს წარმომადგენელს და მას უთხრას პირად საუბარში.**

— ამას სახელმწიფო საიდუმლოების გათქმა ეწოდება. მე არ ვიცი, ვინ ვის ხვდება და რას ეუბნება.

**— მოდით, მე ჩამოგითვლით უშიშროების საბჭოს ყოფილ წევრებს და თქვენ მითხარით, რომელ მათგანს უფრო მეტი შეხება ექნებოდა სახელმწიფო საიდუმლოებასთან: ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი, სალომე ზურაბიშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი.**

— პირველ რიგში, უნდა გვახსოვდეს, რომ უშიშროების საბჭო მხოლოდ სათათბირო ორგანოა და არ არის აუცილებელი, მისი თითოეული წევრი საიდუმლოებაზე ინფორმირებული იყოს. სხვა საქმეა უშიშროების საბჭოს მდივანი. რაც შეეხება თქვენ მიერ ჩამოთვლილ პირებს, ალბათ, სახელმწიფო საიდუმლოებასთან ყველაზე მეტი შეხება შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს ექნებოდა.

**— ანუ ირაკლი ოქრუაშვილს?**

— ირაკლი ოქრუაშვილს.

**— ირაკლი ოქრუაშვილი პარიზშია გაქცეული, ბურჯანაძე და ზურაბიშვილი ე.წ. შეურიგებელ ოპოზიციაში არიან, ნოღაიდელი კი, ლამის ყოველ კვირას მოსკოვში ჩადის და პუტინს ხვდება.**

—კარგით ახლა, ნუ გვიყვარს ქართველებს ზედმეტად კუდის მოქნევა. რა უნდა გათქვან — ინფორმაცია ქართულ წყალქვეშა ფლოტზე თუ სარაკეტო ჯარებზე?! ან იქნებ ბაიკონურის კოსმოდრომი გვაქვს და ჩვენ არ ვიცით?!

**— იმის თქმა გინდათ, რომ ვართ სახელმწიფო, რომელსაც სახელმწიფო საიდუმლოება არ აქვს?**

— რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული ტიპის ინფორმაცია, რომლის გახმაურებაც არ შეიძლება. მაგრამ ზედმეტ წარმოდგენას ჩვენს თავზე ნუ შევიქმნით, თითქოს ატომური წყალქვეშა ფლოტი გვყავდეს ან სტრატეგიული ჯარები. ისე, რა საიდუმლოებაზეა საუბარი, როდესაც თუ რაიმე ხდება, მეორე დღესვე ამის მოსმენა ცენტრალური ტელევიზიებით შეგვიძლია?!.

„მედიანიუსი“

ვარაუდი

(მესამე გვერდიდან)

# რუსეთის სამშვიდობო ინიციატივები, შესაძლოა, ხაფანგში შესატყუებელი რეალობა გამოდგეს

ახლა რუსეთს უნდა, მოხსნას ამ იმიჯის უარყოფითი მხარეები, რადგან ზედმეტი შიშის გამო დასავლეთმა დაიწყო ალტერნატიულ ენერგოდონორებზე ფიქრი და ეს აშკარად აღარ აწყობს რუსეთს. სავარაუდოა, რუსეთმა კიდევ გააგრძელოს საქართველოს მიმართ მშვიდობიანი პოლიტიკა და, ჩემი აზრით, არც ის არის გამორიცხული, აგვისტოს ანექსიის ისე შეტრიალება სცადოს, რომ ამ პრობლემას, როგორც ყარაბაღის კონფლიქტს, მშვიდობიანი გადაწყვეტა მოუძებნოს.

შემთხვევითი არ არის, რომ კავკასიური კონფლიქტები დღის წესრიგში დადგა, როგორც თურქეთის ინიციატივაში, რომელიც რუსეთთან ერთად ცდილობს მათ გასაღები მოუძებნოს. ეს მინიშნება იგივე პუტინმაც რამდენიმეჯერმე გააკეთა.

ვიმეორებ, ამას რუსეთი აკეთებს არა იმიტომ, რომ საქართველოა მისთვის მნიშვნელოვანი, არამედ იმისთვის, რომ რუსეთს თეთრი დათვის იმიჯის შეცვლა თეთრი მტრედის იმიჯით სურს. რუსეთს უნდა, რომ დასავლეთისგან აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით დასაყვედრებელი არაფერი ჰქონდეს. მით უმეტეს რომ, ეს იმიჯი მას სახელს უფუჭებს არა მარტო ევროპაში, არამედ — პოსტსაბჭოთა სივრცეში. დსთ-ს ქვეყნებში აგვისტოს მოვლენების შემდეგ დაძაბულობა აშკარად იგრძნობა, რაც რუსეთისთვის უარყოფითი ფაქტორია.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არის ერთი ინტერესი, რომლის აგვისტოს მოვლენებთან კავშირი ძნელად იკითხება, მაგრამ ფაქტია, რომ აგვისტოს მოვლენების შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა და დროში ეს პროცესები ერთმანეთს მიჰყვა.

თუ კრემლის მხრიდან კავკასიის მიმართულებით კონფრონტაციული სტილი გაგრძელდა, გამორიცხული არ არის, ამან კიდევ უფრო მეტი საპასუხო კონფრონტაცია გამოიწვიოს იმაზე, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში ხდება და შესაძლოა, რუსეთმა იფიქროს კრემლის მხრიდან კონფრონტაციული სტრატეგიის შემცირებაზე, რითაც ჩრდილოეთ კავკასიურ თემაში ცვლილებების შეტანას შეეცდება.

ეს მოტივები არსებობს და ამ ფონზე არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთის სამშვიდობო დიალოგის ინიციატივები 2010 წელსაც გაგრძელდეს, თუმცა ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ინიციატივები შეიძლება, ხაფანგი უფრო იყოს, ვიდრე პოლიტიკური რეალობა, ანუ ხაფანგში შესატყუებელი რეალობა, ვიდრე — მშვიდობის რეალური სურვილი. ასე რომ, მომავალში შესაძლოა, რუსეთის მხრიდან უფრო რთული დიპლომატიური თამაშები იყო შემოთავაზებული, ვიდრე — აქამდე არსებული მარტივი კონფრონტაცია.

**— თქვენი აზრით, როგორი იქნება 2010 წელი საქართველოსთვის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში?**

— რახან საგარეოზე ნაწილობრივ უკვე ითქვა, საშინაოთი დავიწყებ. გარდამავალი პერიოდია, ანუ შიდაპოლიტიკურ ძალებს ჯერ ვერ გაურკვევიათ, რა სახეს მიიღებენ, როგორი იქნება მათი სამომავლო პოლიტიკური ცხოვრება. ახლა წამყვანი თემა საარჩევნო სისტემაში მონაწილეობა იქნება. ოპოზიცია თბილისის მერის არჩევნების საკითხს მისი ოპოზიციური საქმიანობის ქვაკუთხედად მიიჩნევს, ალბათ ემოციები ისევ იქნება კონცენტრირებული ამ არჩევნებზე. შესაძლოა, ისეთივე ინტელექტუალური და კონცეპტუალური სირთულეების წინაშე აღმოჩნდეს ოპოზიცია, როგორც 2009-ში, როცა ჟურნალისტები ეკითხებოდნენ ოპოზიციის ლიდერებს — თუ ისე არ მოიქცევა ხელისუფლება, როგორც თქვენ თვლით, მაშინ რას აპირებთო? ოპოზიციას პასუხი არ ჰქონდა. ახლაც იგივე კითხვა ჩნდება — თუ ისე არ განვითარება მოვლენები, როგორც ოპოზიცია ფიქრობს, არჩევნების შედეგად წამყვან ადგილებს ისევ „ნაციონალები“ დაიკავებენ ან მერის ადგილი არ აღმოჩნდება ის, საიდანაც შეიძლება მომავალი პოლიტიკური ბრძოლის წარმოება, მაშინ რას აპირებს ოპოზიცია, ისევ უცნობია. ასე რომ, ოპოზიციას ბრძოლის კონცეფციის შემუშავების თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. ოპოზიციისათვის ამ კითხვებზე პასუხისა და საკუთარი თავის ძიების პროცესი 2010 წელსაც გაგრძელდება. რაც შეეხება ხელისუფლებას, იგი აკონტროლებს სიტუაციას, შიდაპოლიტიკაში ცვლილებების მოტივი არ გააჩნია და მით უმეტეს 30% ბარიერის პირობებში ძალიან დიდი შანსი აქვს, მომავალ არჩევნებში ყველა მიზანს მიაღწიოს.

რაც შეეხება საერთაშორისო არენას, სავარაუდოა, რომ რუსეთთან დაკავშირებული რთული კურსი გაგრძელდება, თუ რა კონკრეტულ სახეს მიიღებს, ეს ალბათ არავის არ შეუძლია თქვას. რაც შეეხება დასავლეთთან ურთიერთობას, ალბათ ძალიან გაჭირდება ეს ურთიერთობა და საქართველოს იზოლაციის თემა ჩვენთვის ერთ-ერთი მტკივნეული თემა ისევ იქნება. თუ რუსეთის აქტიურობის შედეგად რეგიონული პოლიტიკა კავკასიაში შეიცვალა და ამ რეგიონში თურქეთმა რამდენადმე წარმატებას მიაღწია, მაშინ სავარაუდოა ისიც, რომ რუსეთისა და თურქეთის ინტერესები დაუპირისპირდება ერთმანეთს. კავკასიაში თავისი პოზიციის გაძლიერება თურქეთსაც სჭირდება, რომ შემდეგ ამ რეგიონში გამავალი სატრანზიტო ხაზით მოახდინოს ზეწოლა ევროპაზე. რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება ისევ გააჩენს იმ დაძაბულობის ფონს, რასაც საქართველოსთვის შეიძლება ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა და საქართველოსთვის ახალი პოლიტიკური სვლებისთვის ახალი არენა გაიხსნას. მე საქართველოსთვის სწორედ რომ რეგიონულ პოლიტიკაში ველი სიახლეებს და ახალ გამოწვევებს, რომელთა დროსაც ქართულ დიპლომატიას მნიშვნელოვანი როლის შესრულება მოუწევს.

**კობა ბენდელიანი**

დღეს — ხვალისთვის

(მეორე გვერდიდან)

# რა მოაქვს ვეფხვის წელიწადს?..

მართლაც გრანდიოზულ საგარეო ვალებში ჩაფლული ქვეყნის ხელისუფლება ნიადაგ საბაბს ეძებს და პოულობს კიდეც ჩვენი ბეჩავი ბიუჯეტის ხარჯზე მრავალმილიონიანი გრანდიოზული გასართობების მოსაწყობად.

ჩვენ, ოდესღაც ამაყი და თავმოყვარე, ახლა თურქი თუ არაბი „ინვესტორის“ ნასუფრალის იმედად დარჩენილი ნაქართველარები (ვინც საკუთარ თავს ძველი ინერციით ჯერ კიდევ ვუწოდებთ ხალხსძ ვითმენთ. სასწაულის და ღვთის შეწევნის იმედით, ახალი გმირის გამოჩენის იმედით ვითმენთ.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კი განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში თავისას შვრება. „განვითარებულებს“ ახლა ჩვენთვის არა სცხელათ—საკუთარი ხალხის ქონება, საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა, საკუთარი პრესტიჟი აქვთ გადასარჩენი. ჩვენ კი, ოდესღაც ამაყი და თავმოყვარე ქართველები, გუშინ თავი „ხალხად“ რომ მიგვაჩნდა, დღეს სამათხოვროდ ხელგაწვდილ „მესამე სამყაროს“ ქვეყანათა სიაში ვწერივართ. „განვითარებულებს“ ჩვენ უისტორიო, არასრულფასოვანი ადამიანები ვგონივართ და ჩვენი ეროვნული ბუნების საკუთარ ყაიდაზე გადაწყობას ცდილობენ.

## ვანოს ხელი ჩვენს ოჯახებში

**დასასრული მოთმინებასაც აქვს**. დღეს ძნელი არ არის იმის ვარაუდი, რომ გაისად ჩვენი ანგელოზური მოთმინების მრისხანე დასასრული ძალიან ახლოს იქნება. ამის მიზეზად არ იგულისხმება მხოლოდ სავალალო ეკონომიკური ვითარება—უსამართლობა და უიმედობაც თავისას შვრება.

ამას, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლებაც კარგად გრძნობს. ვინაიდან მას, მრავალი მიზეზის გამო, უკან დახევა (გადადგომა!ძ არ შეუძლია, მომავალ წელს იძულებული იქნება კიდევ უფრო გაასასტიკოს ისედაც სასტიკი სახელმწიფო რეპრესიული აპარატის მოქმედება.

პირადად პრეზიდენტი სააკაშვილი ამას არც მალავს—ხშირად და საჯაროდ ლაპარაკობს მინისტრ მერაბიშვილის კარგ მუშაობაზე, ქმნის ახალ-ახალ სპეციალური დანიშნულების, საიდუმლო და ზესაიდუმლო რაზმებს.



გარდაუვალი რეპრესიებისთვის მზადებას ემსახურება თავდაცვის მინისტრად თავისი სისასტიკით ცნობილი ბაჩო ახალაიას დანიშვნაც. ბევრ სხვა რამესთან ერთად, ეს დანიშვნა მოსალოდნელი სახალხო გამოსვლების დათრგუნვის მიზნით არმიის გამოყენების შესაძლებლობასაც ითვალისწინებს. თუ ერთ-ერთ ბოლოდროინდელ „გახსნაზე“ სააკაშვილის ვრცელ გამოსვლას გავიხსენებთ, საქმე იმაზე გაცილებით უარესადაა, ვიდრე წარმოგვიდგენია. ქართული არმიის გაძლიერებაზე საუბრისას, პრეზიდენტმა საგანგებოდ ხაზი გაუსვა მის რიცხოვნობას: „ჩვენ უნდა გვყავდეს ასიათასიანი, ორასათასიანი, თუ საჭირო იქნება, ნახევარმილიონიანი არმია!... თუ საჭირო იქნება, არმიაში უნდა გავიწვიოთ ქალებიც, რომ ჩვენ საკუთარი ქვეყნის დაცვა შევძლოთ...“

სააკაშვილი არცთუ იშვიათად აკეთებს მოულოდნელ და უპასუხისმგებლო განცხადებებს, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ იგი ხშირად სალი აზრისთვის ყოვლად მიუღებელ გადაწყვეტილებებსაც იღებს და ასრულებს კიდეც. მაგალითისთვის ქუთაისის მეორე დედაქალაქად გამოცხადება და დიდების მემორიალის დანგრევაც იკმარებდა.

საინტერესო ის არის, რომ საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად, საქართველო ვერავითარ შემთხვევაში ვერ შექმნის დადგენილ კვოტაზე (30-35 ათასი კაციძ მეტი რიცხოვნობის შეიარაღებულ ძალას. თუ ასე მოხდა, მაშინ საქართველომ უარი უნდა თქვას ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობაზე, მათ შორის, გაეროზეც. თუმცა, მთავარი უბედურება ეს არ არის.

თუ სააკაშვილის ეს განცხადება სერიოზულობასთან ახლოსაა, გამოდის, რომ იგი მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, სომხეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, თურქეთი...ძ ურთიერთობას ძალის პოზიციებიდან აპირებს, რაც ყოვლად წარმოუდგენელი ავანტიურა და საქართველოს მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გაქრობის ასპროცენტიანი წინაპირობა იქნებოდა. არანაკლებ საშიში ვითარება შეიქმნება მაშინაც, თუ სააკაშვილის ხელისუფლება, თავისი შორეული მეგობრების საამებლად რეგიონში ჟანდარმის ფუნქციას დაიკისრებს.

ჩემი ფიქრით, სააკაშვილი ბუმბერაზი არმიის შექმნის იდეით, უმთავრესად, საქართველოს წინაშე მდგარი არარსებული საფრთხეებით ქართველი ხალხის დაშინებას, მისი ყურადღების უმძიმესი შიდა სოციალური და სამართლებრივი პრობლემებიდან მოჩვენებით „საგარეო საფრთხეებზე“ გადატანას ცდილობს.

## დიდი კატაკლიზმები საბრალოთა ქვეყანაში

**საქართველოში არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით, „ვეფხვის წელიწადში“ არც რევოლუცია, არც ნაცების ხელისუფლების გადადგომა, არც სამმართველო რეჟიმის შეცვლა და არც რადიკალური სახელისუფლო ცვლილებები (მაგალითად, განათლების ან სამხედრო მინისტრებად ამ სისტემების კარგად მცოდნე ადამიანების დანიშვნა) მოსალოდნელი არ არის.** სააკაშვილის „ჩემი გუნდი“ კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივებს ძალაუფლებით ტკბობას. ეს მოხდება საბრალო საქართველოს უბრალო მოქალაქეთა პოლიტიკური და სამართლებრივი ნიჰილიზმის, მეტისმეტად იმედიანი განწყობის (მარიამ ღვთისმშობელი არ მიგვატოვებს!ძ და ხელისუფლების ტრადიციული უსინდისობის ხარჯზე.

ჩემი აზრით, მომავალი წლის ბოლომდე სააკაშვილი არავითარ შემთხვევაში არ დათმობს ხელისუფლებას, თუნდაც ამისთვის რუსეთის წინააღმდეგ ომის წამოწყება დასჭირდეს. რასაკვირველია, ეს კიდევ უფრო გაამძაფრებს ისედაც მძაფრად ანტაგონისტურ დამოკიდებულებას ერთის მხრივ, ხელისუფლებასა და მის პოლიტიკურ ოპოზიციას, მეორეს მხრივ, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის — როგორც მოგახსენეთ, ადამიანთა თვით ანგელოზურ მოთმინებასაც ოდესმე აქვს დასასრული. ამის გარდა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და დროა, საკუთარ უფლებებზე თუ არა, თავმოყვარეობასა და კუჭზე მაინც ფიქრი დავიწყოთ.

სამწუხაროდ, მგონია, რომ მომავალი წელი პატარა ქვეყანაში დიდი სოციალური აფეთქებისკენ გადადგმული ნაბიჯის წელი იქნება. თუმცა, მისი თავიდან აცილება შეუძლებელი სულაც არ არის. მეტიც, თეორიულად ამის გაკეთება თვით მიხეილ სააკაშვილსაც კი შეუძლია თუ, რასაკვირველია გვერდში ეკა ხერხეულიძეზე და პოეტ კაკალაშვილზე მეტად ჭკვიან ადამიანებს ამოიყენებს.

და მაინც, გულის გატეხა არ ღირს, ჩემო ძვირფასებო — საქართველოს არაბთა, მონღოლთა, თურქთა თუ სპარსთა სასტიკი შემოტევებისთვის, არანაკლებ სასტიკი შინაომებისთვის გაუძლია და საკუთარ ისტორიას ასე უბრალოდ არავის დაასრულებინებს.

**თეიმურაზ ქორიძე**

რეკლამააა
5-40

# რეკლამააა
# 5-40

# შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულება

**კარი პირველი**

**არბიტრაჟი**

### მუხლი 1. დებულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

1.1 „არბიტრაჟი“ – ერთი ან რამდენიმე წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც უფლებამოსილია დებულებით დადგენილი წესით განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.

1.2 „არბიტრი“ – არბიტრაჟის წევრი;

1.3 „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“ – შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“;

1.4 „მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე“ – შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი“-ს თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი;

1.5 „კანონი“ – საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“;

1.6 „სასამართლო“ - ამ დებულების მე-3, მე-4, მე-10, და 12-ე მუხლებისათვის – ის რაიონული (საქალაქო) სასამართლო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა, მიმდინარეობს ან უნდა მოხდეს სარბიტრაჟო განხილვა; 8-ე, 18-ე და 20-ე მუხლებისათვის – სააპელაციო სასამართლოები.

1.7 „დავა“ – კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის განხილვაც ეთხოვა მუდმივმოქმედ არბიტრაჟს;

1.8 „მხარეები“ – საარბიტრაჟო მოსარჩელე და მოპასუხე;

1.9 საარბიტრაჟო მოსარჩელე – მხარე, რომელიც დავას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟს;

1.10 „მტკიცებულება“ – ნებისმიერი მონაცემი, რომლის მეშვეობითაც არბიტრაჟი ადგენს მხარეთა მოთხოვნებისა და განცხადებების სამართლიანობასა და დასაბუთებულობას;

1.11 „საარბიტრაჟო განხილვა“ – არბიტრაჟის მიერ მხარეთა შორის დავის განხილვა;

1.12 „საარბიტრაჟო შეთანხმება“ – დავამდელი ან დავის შემდგომი წერილობითი შეთანხმება მხარეთა შორის, ამა თუ იმ დავის საარბიტრაჟო განხილვის გზით მოწესრიგების შესახებ.

1.13 „დებულება“ – მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

### მეორე 2. ზოგადი დებულებები

2.1 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არის დავების განმხილველი დაწესებულება, რომელიც კანონით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს, პირებს შორის წამოჭრილ კერძო ხასიათის ქონებრივ დავას, მოქმედი კანონმდებლობის და დებულებით დადგენილი წესების მიხედვით, თუ საარბიტრაჟო განხილვის მონაწილე მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.2 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ხელმძღვანელობს დებულების იმ რედაქციით, რომელიც მოქმედებს შესაბამისი საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ჩატარების დროს.

2.3 დავის სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტის ინტერესებიდან გამომდინარე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე (არბიტრაჟი) უფლებამოსილია განახორციელოს კანონითა და დებულებით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი საპროცესო მოქმედება.

2.4 მხარეთა შეთანხმება, რომელიც ადგენს დებულებით დადგენილი საქმის განხილვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტის განსხვავებულ წესს, არბიტრაჟისათვის სავალდებულოა იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი შეთანხმების უფლება მხარეებს მინიჭებული აქვთ კანონით.

2.5 მხარეები იწყებენ დავის წარმოებას მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, დებულებაში და კანონში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, საარბიტრაჟო სარჩელის შეტანის გზით.

2.6 მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ დროს საქმე დაამთავრონ მორიგებით. საარბიტრაჟო მოსარჩელ?ს შეუძლია უარი თქვას საარბიტრაჟო სარჩელზე, ხოლო მეორე მხარეს – ცნოს საარბიტრაჟო სარჩელი.

2.7 საარბიტრაჟო დავის წარმოება მიმდინარეობს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

2.8 მხარეებს უფლება აქვთ მათთვის კანონით და ამ დებულებით მინიჭებული გადაწყვეტილებების მიღების უფლება გადასცენ მესამე პირებს.

2.9 სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამონაცვლეობის დროს უფლებამონაცვლე ხდება ასევე საარბიტრაჟო შეთანხმების მხარე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.10 ერთ-ერთი მხარის გარდაცვალება ან ლიკვიდაცია არ იწვევს სარბიტრაჟო შეთანხმების გაუქმებას ან უკვე დანიშნული არბიტრების შეცვლას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2.11 საქმის გარემოებათა გასარკვევად არბიტრაჟს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.12 მხარეებს, აგრეთვე არბიტრაჟს, უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2.13 არბიტრი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული საარბიტრაჟო განხილვის პროცედურით, კანონის მოთხოვნათა დაცვით. რაიმე ზემოქმედება არბიტრზე ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვებელია.

2.14 თუ არ არსებობს სადავო ურთიერთობის მომწესრიგებელი კანონი, არბიტრაჟი იყენებს კანონს, რომელიც აწესრიგებს მსგავს ურთიერთობას (კანონის ანალოგია), ხოლო თუ ასეთი კანონიც არ არსებობს, არბიტრაჟი ემყარება საქართველოს კანონმდებლობის ზოგად პრინციპებს (სამართლის ანალოგია).

### მუხლი 3. საარბიტრაჟო შეთანხმება, არბიტრაჟის კომპეტენცია

3.1 საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე.

3.2 საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით.

3.3 საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით.

3.4 საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ მისი შინაარსი დაფიქსირებულია ნებისმიერი ფორმით, მიუხედავად საარბიტრაჟო შეთანხმების ან ხელშეკრულების დადების ფორმისა.

3.5 საარბიტრაჟო შეთანხმების წერილობითი ფორმით დადების შესახებ მოთხოვნა სრულდება ელექტრონული შეტყობინებით, თუ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაცია ხელმისაწვდომია მისი შემდგომი გამოყენებისათვის.

3.6 საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლისგაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობას.

3.7 ხელშეკრულებაში არსებული მითითება ნებისმიერ დოკუმენტზე, რომელიც მოიცავს საარბიტრაჟო დათქმას, არის წერილობითი ფორმის საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ ამგვარი მითითება აღნიშნულ დათქმას ხდის ხელშეკრულების ნაწილად.

3.8 თუ ხელშეკრულების ან საარბიტრაჟო შეთანხმების ერთ-ერთი მხარეა ფიზიკური პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, საარბიტრაჟო შეთანხმება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. ასეთ შეთანხმებაზე არ ვრცელდება ამ მუხლის 3.4-3.6 პუნქტები.

3.9 არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება თავისი კომპეტენციის შესახებ, საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობის თუ ნამდვილობის დადგენის ჩათვლით. ამ მიზნით საარბიტრაჟო დათქმა, რომელიც ხელშეკრულების ნაწილია, განიხილება საარბიტრაჟო შეთანხმებად, რომელიც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების სხვა პირობებზე. არბიტრაჟის მიერ ხელშეკრულების ბათილად ცნობა არ გამოიწვევს საარბიტრაჟო დათქმის ბათილობას.

3.10 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს საარბიტრაჟო შესაგებლის წარდგენამდე. მხარის მიერ არბიტრის დანიშვნა ან არბიტრის დანიშვნაში მონაწილეობა არ ართმევს ამ მხარეს უფლებას, გააკეთოს ასეთი განცხადება.

3.11 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს მხარის მიერ შესაბამისი გარემოებების შეტყობიდან 7 დღის ვადაში.

3.12 განცხადება არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ შეიძლება გაკეთდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგაც, თუ აღნიშნული ვადის გასვლას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.

3.13 თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან 30 დღის ვადაში გაასაჩივრონ სასამართლოში. არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. სასამართლოს მიერ ამ საკითხისგადაწყვეტამდე საარბიტრაჟო განხილვა შეიძლება დაიწყოს, გაგრძელდეს და გამოტანილ იქნეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

### მუხლი 4. არბიტრაჟის შემადგენლობა, აცილება

4.1 არბიტრაჟი შედგება ერთი ან რამდენიმე არბიტრისაგან.

4.2 არბიტრთა რაოდენობას და მათი დანიშვნის წესს განსაზღვრავენ მხარეები. მხარეები ნიშნავენ თანაბარი რაოდენობის არბიტრებს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.3 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებით არბიტრთა რაოდენობა ლუწი რიცხვით განისაზღვრება, მაშინ უკვე დანიშნული არბიტრები ვალდებული არიან, დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დანიშნონ კიდევ ერთი არბიტრი, თუ მხარეთა შეთანხმებიტ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4.4 თუ არბიტრთა რაოდენობა არ იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით, მაშინ არბიტრაჟი უნდა შეიქმნას სამი არბიტრის შემადგენლობით.

4.5 არბიტრის (არბიტრების) და არბიტრაჟის თავმჯდომარის დანიშვნის პროცედურა დგინდება მხარეთა შეთანხმებით.

4.6 თუ მხარეთა შეთანხმებით არბიტრი უნდა დაინიშნოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ, მაშინ არბიტრს ნიშნავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, არბიტრაჟის მიერ დავაზე თავისი კომპეტენციის ცნობიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში.

4.7 მხარეთა შეთანხმების არარსებობისას:

ა) სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში თითოეული მხარე ნიშნავს ერთ არბიტრს და ამ წესით დანიშნული ორი არბიტრი ნიშნავს არბიტრაჟის თავმჯდომარეს. თუ ერთ-ერთი მხარე არ დანიშნავს არბიტრს მეორე მეორე მხარის ან არბიტრაჟის მოთხოვნის მიღებიდან 30 დღის ვადაში ან თუ ორი არბიტრი მათი დანიშვნიდან 30 დღის ვადაში ვერ შეთანხმდება მესამე არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში;

ბ) ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევასი, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან არბიტრის დანიშვნაზე, ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე არბიტრს ნიშნავს სასამართლო განცადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

4.8 ამ მუხლის 4.6 და 4.7 პუნქტებით გათვალისწინებული არბიტრაჟის ან სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4.9 პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ვალდებულია არბიტრის მოვალეობის შესრულების დაწყებამდე საარბიტრაჟო წარმოების მხარეებს და არბიტრაჟს, მათი მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს წერილობითი ინფორმაცია განათლებისა და არბიტრად მუშაობის გამოცდილების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რბიტრის დანიშვნისას არბიტრაჟმა (სასამართლომ) უნდა გაითვალისწინოს მხარეთა მიერ შეთანხმებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი არბიტრის დანიშვნის უზრუნველსაყოფად.

4.10 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს.

4.11 მხარეს შეუძლია არბიტრაჟის წევრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს.

4.12 მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის ან სხვა რაიმე მიზეზით უმოქმედობის შემთხვევაში არბიტრს შეიძლება შეუწყდეს უფლებამოსილება საკუთარი მოთხოვნის საფუძველზე ან მხარეთა შეთანხმებით. აღნიშნულ შემთხვევებში შეთანხმების მიუღწევლობისას ერთ-ერთ მხარეს შეუძლია არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნიოს დაყენებიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტის მოთხოვნით. სასამართლოს აღნიშნულ საკითხზე გამოაქვს გადაწყვეტილება განცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4.13 არბიტრის მიერ უარის თქმა თავისი მოვალეობის შესრულებაზე ან მხარის თანხმობა არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტაზე არ გულისხმობს 4.12 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან აცილების კანონით და/ან დებულებით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობას ან მათ აღიარებას.

4.14 ყოველი პირი მის არბიტრაჟის წევრად დანიშვნაზე იძლევა წერილობით თანხმობას. დაუშვებელია პირის არბიტრად დანიშვნა მისი თანხმობის გარეშე.

4.15 მხარის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ არბიტრთან მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დებს ხელშეკრულებას.

4.16 არბიტრის (არბიტრების) დანიშვნის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.

4.17 მხარეს უფლება არა აქვს ერთპიროვნულად შეცვალოს თავისი დანიშნული არბიტრი.

4.18 დაუშვებელია პირს აეკრძალოს არბიტრად დანიშვნა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი არის:

ა) ქმედუუნარო ან შეზღუდულქმედუნარიანი;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი ან მოხელე;

გ) მსჯავრდებული დანაშაულის ჩადენისათვის და მოხსნილი ან გაქარწყლებული არა აქვს ნასამართლობა.

4.19 მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ არბიტრი არ აკმაყოფილებს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ კლასიფიკაციას ან/და არსებობს გარემოებები, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს დასაბუთებული ეჭვი არბიტრის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში.

4.20 მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება მხოლოდ იმ გარემოებათა გამო, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა არბიტრის დანიშვნის შემდეგ.

4.21 პირი, რომელიც უნდა დაინიშნოს არბიტრად, ან უკვე დანიშნული არბიტრი ვალდებულია მისი დანიშვნიდან საარბიტრაჟო განხილვის მთელი ვადის განმავლობაში დაუყოვნებლივ აცნობოს მხარეებს და არბიტრაჟს იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც საეჭვოს ხდის მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლოებას.

4.22 მხარეებს, ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შეუძლიათ შეთანხმდნენ არბიტრის აცილების პროცედურაზე.

4.23 მხარეთა შეთანხმების არარსებობისას, მხარე, რომელსაც განზრახული აქვს აცილება გამოუცხადოს არბიტრს, ვალდებულია აცილების შესახებ წერილობითი განცხადება წარუდგინოს არბიტრაჟს 15 დღის ვადაშიიმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა შესაბამისი არბიტრის დანიშვნა ან ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია. განცხადებაში უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები. თუ არბიტრი, რომლის აცილების საკითხიც განიხილება, არ აცხადებს თვითაცილებას ან თუ მეორე მხარე არ ეთანხმება აცილებას წერილობითი განცხადების წარდგენიდან 30 დღის ვადაში, მაშინ აცილების საკითხს გადაწყვეტს არბიტრაჟი ამ ვადის ამოწურვიდან 30 დღეში. თუ აცილების შესახებ მხარის განცხადება არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა, მხარეს, რომელიც აცხადებს აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4.24 ერთი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის შემთხვევაში მხარეს უფლება აქვს არბიტრის დანიშვნიდან ან იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ამ კანონით გათვალისწინებული რომელიმე გარემოება, რომელიც არბიტრის აცილების საფუძველია, 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით.

4.25 სასამართლოს დებულების 4.23 და 4.24 პუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოაქვს გადაწყვეტილება გასნცხადების წარმოებაში მიღებიდან 14 დღის ვადაში. ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ასეთ შემთხვევაში არბიტრს უფლება აქვს, გამოაცხადოს თვითაცილება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდეც. ცილების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟს შეუძლია გააგრძელოს საარბიტრაჟო განხილვა იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვს მხარე, და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

4.26 აცილების საფუძვლის არსებობისას არბიტრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

4.27 არბიტრაჟის შემადგენლობაში არ შეიძლება იყვნენ პირები, რომლებიც ერთმანეთის ახლო ნათესავები არიან, ხოლო თუ მათ შორის ასეთი ნათესაური კავშირი მაინც აღმოჩნდა, ისინი უნდა ჩამოცილდნენ დავის განხილვას.

4.28 თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარეც, არბიტრაჟი ვალდებულია დააკმაყოფილოს იგი.

4.29 აცილების განცხადების შემდეგ არბიტრაჟმა შეიძლება მოუსმინოს მხარეებს, აგრეთვე იმ პირს, რომლის მიმართაც განაცხადეს აცილება. აცილების საკითხს არბიტრაჟი წყვეტს სათათბირო ოთახში.

4.30 არბიტრის მიერ უარის თქმის, შეცვლის ან აცილების შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, რომელი წესების გამოყენებითაც იყო დანიშნული წინა არბიტრი.

4.31 არბიტრის ან არბიტრების შეცვლის შემთხვევაში, მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება უნდა განმეორდეს.

4.32 ექსპერტის, თარჯიმნის, სპეციალისტის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია დებულებით გათვალისწინებული საერთო საფუძვლით.

4.33 ექსპერტის, თარჯიმნისა და სპეციალისტის აცილების საფუძვლად არ ჩაითვლება დებულების 4.34 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასახელებული გარემოებები.

4.35 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს უფლება აქვს პატივსადები მიზეზების არსებობისას განაცხადოს თვითაცილება დავის განხილვაზე, რის შესახებაც მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს განკარგულება ხოლო მხარეს უბრუნდება მის მიერ შეტანილი მასალები და საარბიტრაჟო შენატანი სრულად.

### მუხლი 5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები, დავის საგნის ღირებულება.

5.1 საარბიტრაჟო განხილვის ხარჯებს შეადგენს არბიტრაჟის ხარჯები და არბიტრაჟის გარეშე ხარჯები.

5.2 არბიტრაჟის ხარჯებს შეადგენს საარბიტრაჟო შენატანი და დავის განხილვასთან, აგრეთვე, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სანოტარო წესით დამოწმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

5.3 არბირტაჟის გარეშე ხარჯებს წარმოადგენს ადვოკატისათვის გაწეული ხარჯები, მტკიცებულებათა მოპოვებასთან გაწეული ხარჯები, აგრეთვე, მხარეთა სხვა აუცილებელი ხარჯები.

5.4 საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ხარჯს გაიღებს დაინტერესებული მხარე. არბიტრაჟი არ არის ვალდებული დავის განხილვასა ან თავისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლასთან დაკავშირებით გაწიოს რაიმე ხარჯი.

5.5 საარბიტრაჟო შენატანის გადახდევინება წარმოებს:

ა) საარბიტრაჟო სარჩელზე;

ბ) შეგებებულ საარბიტრაჟო სარჩელზე;

გ) განცხადებაზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ;

დ) საჩივარზე საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ.

იხ. 38 გვ.

# შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის“ დებულება

(ოცდამეჩვიდმეტე გვერდიდან)

5.6. საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა დამოკიდებულია დავის საგნის ღირებულებაზე და შეადგენს სადაო საგნის ღირებულების 2%-ს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით), 100 000 ლარის ზევით დავის საგნის შემთხვევაში სადაო საგნის ღირებულების 1,8%-ს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით), მაგრამ არანაკლებ 300 ლარისა (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით), ხოლო დავებზე, სადაც დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 3500 ლარს - არანაკლებ 200 ლარისა (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით). ამასთან საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 10 000 (ათი ათასი) ლარს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).

5.7 5.5 მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებაზე და საჩივარზე საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შეადგენს 150 ლარს, (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით) თითოეულ მოთხოვნაზე განსახორციელებელ ღონისძიებაზე.

5.8 დავის საგნის ფასს მიუთითებს საარბიტრაჟო მოსარჩელე. თუ საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ მითითებული ფასი აშკარად არ შეესაბამება დავის საგნის ნამდვილ ღირებულებას, დავის საგნის ფასს განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

5.9 თუ არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავა გამომდინარეობს სხვადასხვა ვალდებულებებიდან (ხელშეკრულებიდან) და ამ ვალდებულებებიდან გამომდინარე ძირითადი დავა უკვე განხილულია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა განისაზღვრება 300 ლარის ოდენობით (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით), ხოლო თუ ძირითადი დავა განხილულია არა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის, არამედ რომელიმე სხვა ორგანოს მიერ, მაშინ ამ დავაზე მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მიერ თავისი კომპეტენციის ცნობის შემთხვევაში საარბიტრაჟო შენატანი განისაზღვრება სადაო საგნის ღირებულების 2%-ს (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით) ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 10 000 (ათი ათასი) ლარისა (დ.ღ.გ.-ს ჩათვლით).

5.10 სადავო საგნის შეფასებისას მხედველობაში მიიღება იმ დროს არსებული ფასები, როდესაც შეტანილი იქნა საარბიტრაჟო სარჩელი.

5.11 თუ საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის მომენტში შეუძლებელია დავის საგნის ღირებულების ზუსტად განსაზღვრა, საარბიტრაჟო შენატანის ოდენობას წინასწარ განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, შემდეგ კი ხდება დამატებით გადახდევინება ან ზედმეტად გადახდილის უკან დაბრუნება, საქმის გადაწყვეტისას დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელის ფასის შესაბამისად.

5.12 ექსპერტების, სპეციალისტებისა და თარჯიმნების სამუშაოსა და არბიტრაჟში გამოცხადებისათვის საჭირო ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც იშუამდგომლა ამის თაობაზე.

5.13 მუდმივმოქმედ არბიტრაჟს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ნაწილობრივ გაანთავისუფლოს მხარე საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან.

5.14 ერთი მხარის ნაწილობრივ განთავისუფლება საარბიტრაჟო შენატანის გადახდისაგან, მეორე მხარის საარბიტრაჟო შენატანის გადახდის ვალდებულებებზე გავლენას არ ახდენს.

5.15 მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს ცალკეულ შემთხვევებში შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან გაუნაწილვადოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ანდა შეამციროს მისი ოდენობა.

5.16 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა განახევრდება და მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო შენატანის ოდენობა შემცირდება 30%-ით, რაც უკან დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს. ამასთან, ასეთ შემთხვევებში საარბიტრაჟო შენატანი არ შეიძლება იყოს დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

5.17 თუ საარბიტრაჟო სარჩელზე უარის თქმა, საარბიტრაჟო სარჩელის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდის ვალდებულება განისაზღვრება დარჩენილი ნაწილის განხილვით გამოწვეული ხარჯებით.

5.18 არბიტრაჟის ხარჯები (საარბიტრაჟო შენატანი და დავის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), დებულებით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საარბიტრაჟო მოქმედების შესრულება მოითხოვა. თუ ასეთი მოქმედების შესრულება არბიტრაჟის ინიციატივით ხდება, მაშინ ეს თანხა ორივე მხარეს შეაქვს თანაბარწილად.

5.19 თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს მხოლოდ მოგებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე. თუ საარბიტრაჟო სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც საარბიტრაჟო მოსარჩელეს უარი ეთქვა.

5.20 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს, მაგრამ თუ საარბიტრაჟო მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო სარჩელზე იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრის შემდეგ, მაშინ საარბიტრაჟო მოსარჩელის თხოვნით არბიტრაჟი მოპასუხეს დააკისრებს საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურებას.

5.21 თუ მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმებით ან მორიგების დროს თვითონ გაითვალისწინეს საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ურთიერთგანაწილების წესი, არბიტრაჟი ამ საკითხს წყვეტს მათი შეთანხმების შესაბამისად.

## მუხლი 6. საარბიტრაჟო – საპროცესო ვადები

6.1 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით და დებულებით დადგენილ ვადაში.

6.2 კანონით ან დებულებით დადგენილი დღეებით გამოსათვლელი ვადის დინება იწყება იმ მოვლენის დადგომის შემდგომი დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6.3 თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

6.4 თუ საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა კანონით ან დებულებით არ არის დადგენილი, მას განსაზღვრავს არბიტრაჟი. საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას არბიტრაჟმა უნდა გაითვალისწინოს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებისა და გადაწყვიტილების გამოტანისათვის მხარეების ან კანონის მიერ დაწესებული ვადა და იმ საპროცესო მოქმედების შესრულების შესაძლებლობა, რისთვისაც ეს ვადა დაინიშნა.

6.5 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, იმ გარემოებაზე მითითებით, რომელიც აუცილებლად უნდა დადგეს ამ დროის მონაკვეთით. უკანასკნელ შემთხვევაში მოქმედება შეიძლება შესრულდეს დროის მთელი მონაკვეთის განმავლობაში.

6.6 საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა გამოითვლება მხოლოდ დღეებით.

6.7 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის შესასრულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე. თუ საჩივარი, საბუთები ან ფულადი თანხა ფოსტას ან ტელეგრაფს ჩაბარდა ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე, ვადა გასულად არ ჩაითვლება.

6.8 ყველა დაუმთავრებელი საარბიტრაჟო-საპროცესო ვადა შეჩერდება საქმის წარმოების შეჩერებით. ვადების შეჩერება დაიწყება არბიტრაჟის დადგენილების გამოტანის დღიდან, შეჩერებული ვადის დენა განახლდება წარმოების განახლების დღიდან.

6.9 საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით, დებულებით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველად დარჩება.

6.10 არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადა არბიტრაჟმა შეიძლება გააგრძელოს მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით.

6.11 საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის კანონით ან დებულებით განსაზღვრული ვადა, თუ კანონით ან დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, შეიძლება აღადგინოს არბიტრაჟმა, თუ ცნობს რომ საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

6.12 განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ შეიტანება ამ ვადის გასვლამდე არბიტრაჟში. ვადის გასვლის შსემდეგ ასეთ განცხადებას არბიტრაჟი მიიღებს, თუ ცნობს, რომ ვადის გასვლამდე განცხადების შეუტანლობა მოხდა საპატიო მიზეზით.

6.13 ვადის აღდგენის შესახებ განცხადების შეტანასთან ერთად უნდა შესრულდეს ის საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედება, რომლის ვადაც გასულია.

6.14 განცხადება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობით. მასში მითითებული უნდა იყოს მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების ვადაში შეუსრულებლობა, აგრეთვე მათი დამადასტურებელი მტკიცებულებები.

6.15 განცხადებას ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) მხარეთათვის შეუტყობინებლად.

6.16 საარბიტრაჟო-საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს მხარე, რომელმაც დროულად ვერ შეასრულა საპროცესო მოქმედება, გარდა ისეთ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი შეუსრულებლობა მოწინააღმდეგე მხარის მიზეზით მოხდა.

## მუხლი 7. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება

7.1 არბიტრაჟი, არბიტრი ან მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე საარბიტრაჟო უწყებით (წერილობითი შეტყობინებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროსა და ადგილს.

7.2 საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

7.3 მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას დგება აქტი, რომელიც ჩაიკერება საქმეში. აქტს ადგენს არბიტრაჟის შესაბამისი თანამშრომელი.

7.4 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული., წერილობითი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ ის ადრესატს ჩაჰბარდა პირადად ან თავის იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელ ან უკანასკნელ სამუშაო ადგილას. თუ შეუძლებელია ასეთი ადგილის დადგენა, წერილობითი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება, თუ ის გაგზავნილია ადრესატის უკანასკნელ ცნობილ იურიდიულ მისამართზე, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის მისამართზე დაზღვეული წერილით ან სხვა საშუალებით, რომელიც ადასტურებს შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობას.

7.5 საარბიტრაჟო შეტყობინება და საქმის მასალები ჩაბარებულად ითვლება თუ ისინი ჩაბარებული იქნა დებულების მე-7 მუხლით დადგენილი წესების შესაბამისად.

7.6 საარბიტრაჟო შეტყობინებასთან ერთად მოპასუხეს ეგზავნება საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ საბუთების ასლებთან ერთად, გზავნილი და მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება.

7.7 საარბიტრაჟო შეტყობინების და გზავნილის სანიმუშო ფორმას და შინაარსს ადგენს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე უფლებამოსილია კონკრეტული საქმის ინტერესებიდან გამომდინარე შეცვალოს გზავნილის შინაარსი.

7.8 თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, მხარეს ეგზავნება არბიტრაჟში (მუდმივმოქმედ არბიტრაჟში) მეორე მხარისაგან შემოსული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი მიღებიდან 2 დღის ვადაში.

7.9 საარბიტრაჟო უწყება იგზავნება ფოსტით ან დამტარებლის მეშვეობით. ადრესატისთვის უწყების ჩაბარების დრო აღინიშნება მის მეორე ეგზემპლარზე, რომელიც არბიტრაჟს უნდა დაუბრუნდეს.

7.10 არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ხოლო თუ არბიტრაჟი არ არის დანიშნული სრული შემადგენლობით ან ჯერ არ არის არჩეული არბიტრაჟის თავმჯდომარე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, შეუძლია მხარის თანხმობით ხელზე მისცეს მას უწყება შესატყობინებელი ან გამოსაძახებელი პირისათვის ჩასაბარებლად. პირი, რომელსაც დაევალა უწყების მიტანა, ვალდებულია უკან დააბრუნოს მისი მეორე ცალი უწყების მიღებაზე ადრესატის ხელმოწერით.

7.11 მოქალაქეს უწყება უნდა ჩაბარდეს პირადად, უწყების მეორე ეგზემპლარზე მისი ხელმოწერით, ხოლო ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაბარდეს სათანადო თანამდებობის პირს, რომელიც ასევე ხელს აწერს უწყების მეორე ეგზემპლარს.

7.12 თუ უწყების მიმტანმა პირმა ადრესატი ვერ ნახა საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილზე უწყება უნდა ჩაბარდეს მასთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს, ხოლო თუ ისინიც არ იმყოფებიან ადგილზე, - იმავე სახლში მცხოვრებ სახლის მფლობელს, დამქირავებელს, რომლებიც თანახმა იქნებიან გადასცენ უწყება ადრესატს. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი გვარი, სახელი აგრეთვე ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა. უწყების მიმღები პირი ვალდებულია უწყება დაუყოვნებლივ ჩააბაროს ადრესატს.

7.13 თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს დავა.

7.14 მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ არბიტრაჟს საარბიტრაჟო წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

7.15 თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისათვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის.

7.16 თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ამ დებულების 7.4 მუხლის ბოლო წინადადებით გათვალისწინებული მოქმედების განხორციელების გარდა არბიტრაჟი უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინება ჩააბაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს ან/და განახორციელოს საჯარო შეტყობინება პუბლიკაციის მეშვეობით, რის შესახებაც არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება. საარბიტრაჟო უწყება მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოსათვის მისი გადაცემიდან ან/და პუბლიკაციიდან ორი კვირის ვადაში.

## მუხლი 8. საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფა

8.1 საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საარბიტრაჟო შეთანხმებას.

8.2 მხარის მიმართვის საფუძველზე, გონივრულ ვადაში, არბიტრაჟი, ხოლო თუ დავის განმხილველი არბიტრაჟი შექმნილი არ არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, წერილობითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით ავალებს მხარეს:

ა) საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას ან აღდგენას;

ბ) ისეთი ზომების მიღებას, რომლებიც უკავშირდება მეორე მხარისთვის ან თვით საარბიტრაჟო წარმოებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილებას;

გ) ღონისძიებების განხორციელებას იმ აქტივების შესანარჩუნებლად, რომლებიდანაც აღსრულდება შემდგომში საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

დ) მტკიცებულებების შენახვასა და შენარჩუნებას, რომლებიც შესაძლოა უკავშირდებოდეს საარბიტრაჟო დავასა და მის გადაწყვეტას.

8.3 მხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს საარბიტრაჟო სარჩელის ამ დებულების 8.2 მუხლის „ა''-„გ'' პუნქტებით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;

ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოუყენებლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ ღონისძიებების გამოყენების შემთხვევაში;

გ) არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი იმის შესახებ, რომ მისი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდება. აღნიშნული ვარაუდი გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე.

8.4 ამ დებულების 8.2 მუხლის „დ'' პუნქტით გათვალისწინებული უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართ 8.3 მუხლის „ა''-„გ'' პუნქტების მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებშიც არბიტრაჟი ამას მიზანშეწონილად მიიჩნევს.

8.5 არბიტრაჟი უფლებამოსილია მოსთხოვოს მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელს უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, აღნიშნულ უზრუნველყოფის ღონისძიებებთან დაკავშირებული შესაბამისი უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

8.6 მხარეს, რომელიც შუამდგომლობს საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებაზე, ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერი ხარჯებისა და ზიანისათვის, რომლებიც გამოწვეულია მის მიერ მოთხოვნილი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებით, თუ არბიტრაჟი შემდგომ დაადგენს, რომ აღნიშნულ გარემოებებში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მოცემული ღონისძიებები არ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. არბიტრაჟი უფლებამოსილია მოითხოვოს ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურება საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე.

8.7 არბიტრაჟი უფლებამოსილია, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევს, შეცვალოს, შეაჩეროს, ან გააუქმოს მის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით ან განსაკუთრებულ შემთხვევებში, მხარეთათვის წინასეარ შეტყობინების შემდეგ, თავისი ინიციატივით. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების საკითხს განიხილავს და წყვეტს იგივე ორგანო ან პირი, ვის მიერაც იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ, ხოლო თუ აღნიშნული საკითხი დასმული იქნება დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნიდან დავაზე გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაშინ საკითხს განიხილავს და წყვეტს დავის განმხილველი არბიტრაჟი. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ერთობლივი განცხადებით მომართავენ არბიტრაჟს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეცვლის, შეჩერების ან გაუქმების შესახებ, მაშინ აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.

8.8 არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებებს, რომელთა საფუძველზედაც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების მოთხოვნა ან გამოყენება.

8.9 არბიტრაჟის მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ისინი უნდა აღსრულდეს სასამართლოსთვის მიმართვის გზით, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ქვეყანაში იქნა გამოყენებული აღნიშნული უზრუნველყოფის ღონისძიებები, ამ მუხლისა და „არბიტრაჟის შესახებ'' კანონის 22-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

8.10 მხარე, რომელიც მიმართავს სასამართლოს შუამდგომლობით არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღო-

ნისძიებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, ან რომლის შუამდგომლობაც დააკმაყოფილა სასამართლომ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს სასამართლოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება არბიტრაჟის მიერ გამოყენებული საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების შეჩერებას, შეცვლას ან გაუქმებას.

8.11 სასამართლოში ამ დებულების 8.2 მუხლით გათვალისწინებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მისი ცნობისა და აღსრულებისათვის წარდგენილ უნდა იქნეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

8.12 მხარეს ასევე შეუძლია საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს.

## კარი მეორე
## მხარეები
### მუხლი 9. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო ქმედუნარიანობა

9.1 არბიტრაჟი დავის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების საარბიტრაჟო სარჩელის და შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმების საფუძველზე, მის მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობის შემდეგ. მხარეებად არბიტრაჟში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.

9.2 ერთ-ერთი მხარის ქმედუუნარობის შემთხვევაში, არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს დავა მხოლოდ მაშინ, თუ ქმედუუნარო პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი.

9.3 თუ საქმის წარმოების დროს გაირკვევა, რომ ერთ-ერთი მხარე ქმედუუნაროა და მას არ ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი, არბიტრაჟი ვალდებულია შეაჩეროს საარბიტრაჟო განხილვა. საარბიტრაჟო განხილვა განახლდება კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ.

9.4 მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობები, მისცენ არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში გაასაჩივრონ არბიტრაჟის გადაწყვეტილებები, კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართონ სასამართლოს, ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

9.5 საარბიტრაჟო მოსარჩელეს უფლება აქვს საქმის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა.

9.6 დავის წინასწარი საარბიტრაჟო განხილვისათვის მომზადების შემდეგ საარბიტრაჟო სარჩელის საფუძვლის ან საგნის შეცვლა დასაშვებია მხოლოდ არბიტრაჟის თანხმობით. ასეთი თანხმობის შემთხვევაში მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს საარბიტრაჟო სხდომის გადადება სხვა დროისათვის, მაგრამ არაუმეტეს 10 დღისა.

9.7 საარბიტრაჟო სარჩელის შეცვლად არ ჩაითვლება პრეტედენტის მიერ საარბიტრაჟო სარჩელში მითითებული გარემოებების დაზუსტება, დაკონკრეტება და დამატება, აგრეთვე სასარჩელო მოთხოვნების ოდენობის შემცირება, ან ერთი ნივთის ნაცვლად მეორე ნივთის მიკუთვნება მისთვის, ანდა ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურება.

9.8 დაუშვებელია ისეთი ცვლილება, რაც სარჩელის, საარბიტრაჟო შეთნხმებისა და ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებს აცილებს.

9.9 მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე ადვოკატის ან უფლებამისილი წარმომადგენლის მეშვეობით.

9.10 ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება შესაბამისი დოკუმენტით.

9.11 ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.

9.12 ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.

9.13 მარწმუნებელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს თავის მიერ გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. მხარის წინადადებით წარმომადგენლის უფლებამოსილები შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. უფლებამოსილებაშეწყვეტილი წარმომადგენლის მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებილი ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს მნიშვნელობას.

9.14 წარმომადგენელს უფლება აქვს საქმის წარმოების ყველა სტადიაზე უარი თქვას თავის უფლებამოსილებაზე, რის შესახებაც დროულად უნდა აცნობოს როგორც არბიტრაჟს, ისე მის მარწმუნებელს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს თვითონ მიიღოს მონაწილეობა პროცესში ან/და აიყვანოს ახალი წარმომადგენელი. ამის გათვალისწინებით არბიტრაჟი დანიშნავს დროს, როცა წარმომადგენელს უფლება აქვს შეწყვიტოს პროცესში მონაწილეობა.

9.15 საარბიტრაჟო სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, თუ:

ა) საარბიტრაჟო სარჩელის საგანს წარმოადგენს საერთო უფლება;

ბ) სასარჩელო მოთხოვნები გამომდინარეობს ერთი და იმავე საფუძვლებიდან;

გ) სასარჩელო მოთხოვნები ერთგვაროვანია, მიუხედევედ იმისა, ერთგვაროვანია თუ არა მათი საფუძველი და საგანი.

9.16 თითოეული საარბიტრაჟო მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად.

9.17 თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებებით.

9.18 თანამონაწილეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო დავის (საქმის) წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც თანამონაწილე არასრულწლოვანია, ანდა მას ჰყავს მეურვე ან მზრუნველი.

9.19 საქმის წარმოების მინდობა ერთ-ერთი თანამონაწილისათვის ხდება ამ მუხლის 9.9 – 9.14 პუნქტების შესაბამისად.

9.20 თუ არბიტრაჟი საქმის განხილვის დროს დაადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრულია არა იმ პირი მიერ, რომელსაც მოთხოვნის უფლება აქვს, შეუძლია საარბიტრაჟო მოსარჩელის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით, თუ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

9.21 თუ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა შეცვალოს არასათანადო მოსარჩელე, ან არასათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, არბიტრაჟი საარბიტრაჟო წარმოებს შეწყვეტს იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი თქვა მის მიერ აღძრულ სარჩელზე, ან იმ მოტივით, რომ არასათანადო მხარემ უარი განაცხადა სათანადო მხარით შეცვლაზე.

9.22 თუ შეცვლილ სათანადო საარბიტრაჟო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე თანახმა არ არის მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი უსაფუძვლობის მოტივით წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას.

9.23 თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო სარჩელზე, მას შეუძლია შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ საარბიტრაჟო მოსარჩელსა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.

9.24 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე არ არის თანახმა თავდაპირველი მოპასუხის სათანადო მოპასუხით შეცვლაზე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის საარბიტრაჟო მოსარჩელეს საარბიტრაჟო სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

9.25 თუ საარბიტრაჟო მოსარჩელესა და სათანადო მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და სათანადო მოპასუხე არ არის თანახმა მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი წყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას უსაფუძვლობის მოტივით.

## კარი მესამე
## მტკიცებულებები
### მუხლი 10. მტკიცებულებათა შეგროვება და შეფასება

10.1 თითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

10.2 ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით.

10.3 საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

10.4 საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.

10.5 არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია ნებაყოფლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

10.6 კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვთ.

10.7 არბიტრაჟი არ მიიღებს, არ გამოითხოვს, საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ.

10.8 მტკიცებულებათა მიუღებლობის, გამოთხოვაზე უარის თქმის ან საქმიდან მათი ამოღების შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს მოტივირებული დადგენილება.

10.9 არბიტრაჟისათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

10.10 არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტრაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

10.11 მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

10.12 ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

10.13 მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ. ესენია:

ა) ფაქტები, რომლებსაც არბიტრაჟი საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნავს;

ბ) ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით, თუ საარბიტრაჟო დავის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ;

გ) ფაქტები იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა მოქმედებას ადგილი და ჩაიდინა თუ არა ეს მოქმედება ამ პირმა, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით, როცა საქმეს იხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია განაჩენი.

10.14 თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეუძლია მოსთხოვოს სასამართლოს დახმარება მტკიცებულებათა მოპოვებაში.

10.15 არბიტრაჟი ასევე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს მოწმის დასწრების უზრუნველსაყოფად. სასამართლოს მიერ გამოძახებული მოწმის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

10.16 მხარის განცხადება მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟს წარედგინება წერილობითი ფორმით.

10.17 მტკიცებულებათა მოპოვებაში სასამართლოსთვის დახმარების მიმართვის შესახებ მხარის წერილობით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს:

ა) მტკიცებულებანი, რომელთა მოპოვებაც აუცილებელია;

ბ) გარემოებანი, რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;

გ) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა სასამართლოს დახმარებით მოპოვების შესახებ;

დ) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი.

10.18 მტკიცებულებათა მოპოვებაში დახმარების მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის შესახებ არბიტრაჟი იღებს დადგენილებას, ხოლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე განკარგულებას. ასეთი დადგენილებით (განკარგულებით) შეიძლება საარბიტრაჟო-საპროცესო ვადები შეჩერდეს შესაბამისი მტკიცებულებების მიღებამდე.

10.19 მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ასეთი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

### მუხლი 11. ექსპერტის დანიშვნა

11.1 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, არბიტრაჟს უფლება აქვს:

ა) დანიშნოს ერთი ან რამდენიმე ექსპერტი არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ საკითხებზე დასკვნების წარმოდგენის მიზნით;

ბ) მოსთხოვოს მხარეებს, წარუდგინონ ექსპერტს საქმესთან დაკავშირებით მათ ხელთ არსებული ინფორმაცია, გადასცენ ექსპერტს დათვალიერებისათვის ან მისცენ შესაძლებლობა დაათვალიეროს საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი საბუთი ან სხვა ნივთი.

11.2 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ექსპერტის მიერ ზეპირი ან წერილობითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ არბიტრაჟი მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით სადავო საკითხებზე ჩვენებების მიცემის მიზნით მოიწვევს ექსპერტს საქმის ზეპირ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად. მხარეებს უფლება აქვთ, დაუსვან შეკითხვები ექსპერტს და მოიწვიონ სხვა ექსპერტები სადავო საკითხებზე ჩვენებების მისაცემად.

11.3 ექსპერტის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად.

11.4 ექსპერტების შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს მხარეთა მოსაზრებები. მხარეებს უფლება აქვთ შესთავაზონ არბიტრაჟს ექსპერტად დასანიშნი პირის კანდიდატურები. საბოლოოდ საკითხს იმის შესახებ, თუ ვინ დაინიშნოს ექსპერტად, წყვეტს არბიტრაჟი.

11.5 მხარეებს უფლება აქვთ აგრეთვე წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლებზედაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი.

11.6 ექსპერტის დასკვნა არბიტრაჟისათვის სავალდებულო არ არის, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

11.7 ექსპერტებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.

11.8 თუ ექსპერტის აზრით, არბიტრაჟის მიერ წინასწარ განსაზღვრული ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება დავის საგნის ღირებულებასთან შედარებით ან დიდად გადააჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ხარჯებს, ექსპერტი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ არბიტრაჟს.

11.9 ექსპერტის აცილება და თვითაცილება განხორციელდება არბიტრის აცილებისათვის ამ დებულების და კანონით განსაზღვრული საფუძვლებითა და წესით.

## კარი მეოთხე
## საარბიტრაჟო წარმოება
### მუხლი 12. საარბიტრაჟო განხილვის დაწყება და საარბიტრაჟო სარჩელი

12.1 თუ მხარეთა შორის არ არსებობს შეთანხმება საარბიტრაჟო განხილვის წესის შესახებ, მაშინ დავა განიხილება ამ დებულებით დადგენილი წესით, კანონის მოთხოვნათა დაცვით.

12.2 საარბიტრაჟო დავის განხილვა იწყება არბიტრაჟში ამ დავის გადაცემის შესახებ შეტყობინების საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ მიღების დღეს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12.3 საარბიტრაჟო განხილვის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. მხარეთა შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვის ადგილია მუდმივმოქმედი არბიტრაჟის იურიდიული მისამართი.

12.4 არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ ადგილას მოიწვიოს სხდომა არბიტრთა შორის კონსულტაციების ჩასატარებლად, მოწმეების, ექსპერტების ან მხარეების მოსასმენად, მტკიცებულებათა შესამოწმებლად, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12.5 მხარეებს შეუძლიათ განსაზღვრონ საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები. ამგვარი შეთანხმების არარსებობისას საარბიტრაჟო განხილვა ხორციელდება ქართულ ენაზე. პირს, რომელმაც საარბიტრაჟო განხილვის ენა არ იცის, დაენიშნება თარჯიმანი. არბიტრაჟი ასევე უფლებამოსილია საარბიტრაჟო წარმოების ენა ან ენები დაადგინოს ყველა შესაბამისი გარემოების, მათ შორის ხელშეკრულების ენის ჯეროვანი გათვალისწინებით. მხარეთა შეთანხმება ან არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილება, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ეხება აგრეთვე მხარეთა ნებისმიერ წერილობით განცხადებას, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას, დადგენილებასა და საარბიტრაჟო წარმოებაში გამოყენებულ ნებისმიერ სხვა საბუთს. არბიტრაჟმა შეიძლება დაადგინოს, რომ ყოველგვარ დოკუმენტურ მტკიცებულებას თან უნდა ახლდეს თარგმანი საარბიტრაჟო წარმოების ენაზე (ენებზე).

12.6 საარბიტრაჟო განხილვის დაწყების საფუძველია მხარის საარბიტრაჟო სარჩელი (სარჩელი), რომელიც მოსარჩელემ წერილობითი ფორმით უნდა წარმოუდგინოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს, მასში მითითებული უნდა იყოს მხარეთა სახელები (სახელწოდებები) და მისამართები (ადგილსამყოფლები), მოთხოვნა, ის გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს აღნიშნულ მოთხოვნას, და საარბიტრაჟო სარჩელზე თანდართული საბუთების ნუსხა.

12.7 საარბიტრაჟო მოპასუხე მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე.

12.8 ამ მუხლის 12.6 და 12.7 პუნქტების დებულებები გამოიყენება მაშინ, როდესაც მხარეთა შეთანხმებით სხვა მოთხოვნები არ არის დადგენილი საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის მიმართ, ან როდესაც ასეთი შეთანხმება არ არსებობს.

12.9 საარბიტრაჟო სარჩელს აუცილებლად უნდა ერთვოდეს ის დოკუმენტი, სადაც მითითებულია საარბიტრაჟო შეთანხმების შესახებ და საარბიტრაჟო შენატანის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

12.10 საარბიტრაჟო პრეტენზია და თანდართული საბუთები წარმოდგენილი უნდა იქნეს იმდენი ასლით, რამდენიც მოპასუხეა.

12.11 მუდმივმოქმედ არბიტრაჟის თავმჯდომარე ვალდებულია სარჩელის ჩაბარებიდან სამი დღის განმავლობაში თავისი განკარგულებით ცნოს არბიტრაჟის კომპეტენცია და მიიღოს დავა წარმოებაში ან არ ცნოს დავაზე არბიტრაჟის კომპეტენცია და უარი თქვას მის მიღებაზე. არბიტრაჟი მიერ დავაზე კომპეტენციის ცნობა შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონის 16.5 მუხლის შესაბამისად და დებულების 3.13 მუხლის შესაბამისად.

12.12 საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ საარბიტრაჟო სარჩელის ამ მუხლით დადგენილი წესით განსაზღვრული ფორმის დაუცველად წარდგენის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვა არ დაიწყება. თუ საარბიტრაჟო სარჩელი შეტანილია დებულების 12.6 და 12.9 მუხლში მითითებული მოთხოვნების დარღვევით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს და პრედენდენტს (საარბიტრაჟო მოსარჩელეს) მისცემს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ დანიშნულ ვადაში ხარვეზი არ იქნა შევსებული, სარჩელი შეტანილად არ ჩაითვლება და დაუბრუნდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 90%.

12.13. მიღებული საარბიტრაჟო სარჩელი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად უნდა გადაეგზავნოს მოპასუხეს მისი წარმოებაში მიღებიდან ხუთი დღის ვადაში.

12.14 თუ საარბიტრაჟო მოპასუხე არ წარმოადგენს შესაგებელს საარბიტრაჟო სარჩელზე ამ მუხლის 12.7 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდ გენლობა არ შეიძლება ჩაითვალოს საარბიტრაჟო სარჩელის ცნობად.

12.15 მხარეებს შეუძლიათ საარბიტრაჟო სარჩელთან ან შესაგებელთან ერთად წარმოადგინონ ნებისმიერი საბუთი, რომელიც უკავშირდება საქმეს, ან მიუთითონ იმ საბუთებსა და სხვა მტკიცებულებებზე, რომლებსაც ისინი შემდგომ წარმოადგენენ.

12.16 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო სარჩელი უნდა გაეგზავნოს არბიტრაჟის თავმჯდომარეს და ყველა არბიტრს, მათი არჩევის ან დანიშვნისთანავე.

იხ. 40 გვ.

(ოცდამეცხრამეტე გვერდიდან)

12.17 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, საარბიტრაჟო განხილვის დროს მხარეს შეუძლია შეცვალოს საარბიტრაჟო სარჩელის მოთხოვნები, შესაგებელი ან წარმოადგინოს დამატებითი მოთხოვნები, თუ ეს არბიტრაჟმა არ მიიჩნია განხილვის გაჭიანურებად.

12.18 მოპასუხეს უფლება აქვს მისთვის საარბიტრაჟო სარჩელის ასლის ჩაბარების დღიდან საქმის ზეპირი განხილვისათვის წინასწარი მომზადების დამთავრებამდე აღძრას საარბიტრაჟო მოსარჩელის მიმართ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ სარჩელს, თუ:

ა) შეგებებული სარჩელის მოთხოვნა მიმართულია პირვანდელი მოთხოვნის ჩასათვლელად;

ბ) შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

გ) შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად გადაწყდება.

12.19 12.18 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გაშვების შემდეგ მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი საარბიტრაჟო პაექრობის დამთავრებამდე, თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას.

12.20 შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენა შეიძლება საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის შესახებ არსებული წესების დაცვით. პირვანდელი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად არბიტრაჟს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება

12.21 მუდმივმოქმედი არბიტრაჟი არ მიიღებს საარბიტრაჟო სარჩელს, თუ:

ა) არ არსებობს საარბიტრაჟო შეთანხმება;

ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსამართლის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

გ) საქმე ამ არბიტრაჟის განსჯადი არ არის;

დ) სარჩელი შეიტანა ქმედუუნარო პირმა;

ე) დაინტერესებული პირის სახელით განცხადება შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

12.22 სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს დასაბუთებული განკარგულება.

12.23 სარჩელის მიუღებლობის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარის განკარგულება ჩაბარდება საარბიტრაჟო მოსარჩელეს, რომელსაც იმავდროულად უბრუნდება მის მიერ შეტანილი საბუთები და შეტანილი საარბიტრაჟო შენატანის 90 პროცენტი.

12.24 თუ საარბიტრაჟო შეთანხმებიდან ან შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განხილვა შესაძლებელია როგორც არბიტრაჟის მიერ, ასევე საერთო სასამართლოების წესით და მითითებული არ არის, რომ არჩევა ხდება მოსარჩელის მიერ, ან პირდაპირ არ არის მითითებული, რომ არბიტრაჟის შემთხვევაში დავას განიხილავს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი", რომელიმე მხარის მიერ საარბიტრაჟო სარჩელით მომართვის შემთხვევაში არბიტრაჟი შესთავაზებს მხარეს დავის შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟი"-ს მიერ განხილვას. თუ მოპასუხე მხარე განაცხადებს თანხმობას, მაშინ არბიტრაჟი განიხილავს საქმეს, ხოლო თუ მოპასუხე უარს განაცხადებს, ან საერთოდ არ გამოეხმაურება არბიტრაჟის მიმართვას, მაშინ არბიტრაჟი საარბიტრაჟო სარჩელს თავისი დადგენილებით დატოვებს განუხილველს, ხოლო საარბიტრაჟო მოსარჩელეს უკან დაუბრუნდება მის მიერ შემოტანილი დოკუმენტები და გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 90%.

12.25 მხარეს უფლება აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე საკუთარი განცხადების საფუძველზე გამოითხოვოს საქმე უკან. საქმის გამოთხოვის შემთხვევაში არბიტრაჟს, ხოლო თუ არბიტრაჟი შექმნილი არ არის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, გამოაქვს დადგენილება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. მხარის განცხადების საფუძველზე დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნამდე საქმის გამოთხოვის შემთხვევაში მხარეს უბრუნდება მის მიერ გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 80%, ხოლო დავის განმხილველი არბიტრაჟის შექმნის შემდგომ საქმის გამოთხოვის შემთხვევაში გადახდილი საარბიტრაჟო შენატანის 50%.

## მუხლი 13. საარბიტრაჟო განხილვის ფორმა და მხარეთა გამოუცხადებლობა

13.1 თუ მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული არ არის საარბიტრაჟო განხილვის ფორმა, არბიტრაჟი უფლებამოსილია ჩაატაროს საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ზეპირი განხილვა ან საქმის განხილვა მხოლოდ საბუთებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით არბიტრაჟი ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი განხილვა საარბიტრაჟო განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარეებმა უარი განაცხადეს ზეპირ მოსმენაზე.

13.2 საქმის ზეპირი განხილვის დროს დგება ოქმი ოქმი უნდა ასახავდეს საქმის განხილვის ძირითად მომენტებს. ოქმს ადგენს მდივანი საარბიტრაჟო სხდომაზე. ოქმი მომზადებული და ხელმოწერილი უნდა იქნეს არაუგვიანეს სამი დღისა სხდომის დამთავრების შემდეგ. ოქმს ხელს აწერს არბიტრი და მდივანი. ხოლო, თუ საქმეს კოლეგიური არბიტრაჟი იხილავდა, — ამ არბიტრაჟის თავმჯდომარე და მდივანი. არბიტრაჟს შეუძლია ოქმის შედგენისათვის გამოიყენოს მაგნიტოფონი ან კომპიუტერი, რომელთა ჩანაწერებიც ოქმს თან ერთვის. საარბიტრაჟო სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ მაგნიტოფონისა თუ კომპიუტერის ჩანაწერები გადატანილ უნდა იქნეს ოქმში. სხდომის ოქმზე ხელმოწერის შემდეგ სამი დღის განმავლობაში მხარეებს და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმის მიმართ, მიუთითონ უსწორობასა თუ უსრულობაზე.

13.3 თუ კანონით ან მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა საარბიტრაჟო განხილვა უნდა იყოს დახურული. წარმოდგენილი საბუთი, მტკიცებულება, წერილობითი თუ ზეპირი განცხადება არ უნდა იქნეს საჯაროდ გამოქვეყნებული ან გადაცემული და გამოყენებული სხვა სასამართლო ან ადმინისტრაციულ წარმოებაში.

13.4 არბიტრი და საარბიტრაჟო წარმოების მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებული არიან, დაიცვან

საარბიტრაჟო განხილვის დროს მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

13.5 არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს მხარეთა მიერ არჩეული სამართლის ნორმების შესაბამისად. მხარეთა შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში საარბიტრაჟო განხილვისას გამოიყენება არბიტრაჟის მიერ განსაზღვრული სამართლის ნორმები. ნებისმიერი მითითება რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაზე ან სამართლებრივ სისტემაზე გულისხმობს ამ ქვეყნის მატერიალურ სამართალს და არა მის საპროცესო და კოლიზიურ ნორმებს.

13.6 თუ ერთ-ერთი მხარე არასაპატიო მიზეზით არ ცხადდება საქმის განხილვაზე ან არ წარმოად

გენს თავის პოზიციასა და მტკიცებულებებს, არბიტრაჟს შეუძლია განაგრძოს საქმის განხილვა და გამოიტანოს გადაწყვეტილება მის ხელთ არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13.7 თუ ამ კანონის რომელიმე მოთხოვნა, რომლისგანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან/და საარბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მხარე აგრძელებს საარბიტრაჟო წარმოებაში მონაწილეობას ისე, რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ან/და, თუ ამ კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან არბიტრაჟის მიერ განსაზღვრულია რაიმე ვადა, ამ ვადის განმავლობაში წერილობით არ წარადგენს თავის შესაგებელს, მაშინ ჩაითვლება, რომ მან უარი თქვა შეპასუხების უფლებაზე.

## მუხლი 14. საქმის მომზადება და განხილვა.

14.1 არბიტრაჟის დანიშვნამდე საქმეს ამზადებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, ხოლო არბიტრაჟის დანიშვნის შემდეგ არბიტრაჟის თავმჯდომარე.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შეთანხმებით, ან რომელიმე მხარის მოთხოვნით საქმეზე უნდა ჩატარდეს ზეპირი განხილვა, საქმის განზილვა ხდება ამ მუხლში ჩამოყალიბებული წესების დაცვით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

14.3 არბიტრაჟის თავმჯდომარე ხსნის, უძღვება და ხურავს საარბიტრაჟო სხდომას.

14.4 თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

14.5 საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს და მტკიცებულებებს. თავმჯდომარის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.

14.6 მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის დროს მათ შეიძლება წამოაყენონ ახალი მოსაზრებები, ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა განცხადებული საქმის მოსამზადებელ სტადიაზე ან მხარეთა ზეპირი შეჯიბრების დაწყებამდე. არბიტრაჟი გაითვალისწინებს ამ ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, თუ ცნობს, რომ მათ შესახებ თავის დროზე არ იყო განცხადებული საპატიო მიზეზით და ეს არ მომხდარა საქმის გაჭიანურების მიზნით.

14.7 თუ არბიტრაჟის სხდომაზე გამოცხადდება მხოლოდ ერთი მხარე, არბიტრაჟი მიიღებს ახსნა-განმარტებას ამ ერთი მხარისგან.

14.8 მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რაც წარმოებს კანონით და დებულებით დადგენილი წესით.

14.9 მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ იწყება მხარეთა პაექრობა. პაექრობა შედგება მხარეებისა და მათი წარმომადგენლების სიტყვებისაგან.

14.10 მას შემდეგ, რაც პაექრობის ყოველი მონაწილე წარმოთქვამს სიტყვას, მათ შეუძლიათ ხელმეორედ რეპლიკით გამოვიდნენ წარმოთქმულ სიტყვასთან დაკავშირებით. პაექრობისა და რეპლიკის შემდეგ საარბიტრაჟო განხილვა ითვლება დამთავრებულად.

## მუხლი 15. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

15.1 რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარ არბიტრაჟს გადაწყვეტილება გამოაქვს არბიტრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15.2 არბიტრს უფლება არა აქვს თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

15.3 გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები შეიძლება გადაწყვიტოს არბიტრაჟის თავმჯდომარემ, თუ მას შესაბამისი უფლებამოსილება მინიჭებული ექნება მხარეების ან ყველა არბიტრის მიერ.

15.4 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. აუცილებლობის შემთხვევაში აღნიშნული ვადა შეიძლება გააგრძელოს არბიტრმა არა უმეტეს 180 დღით.

15.5 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. იგი გამოტანილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და მას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრმა (არბიტრებმა). საქმის რამდენიმე არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მიერ განხილვისას გადაწყვეტილებას ხელი უნდა მოაწეროს არბიტრების უმრავლესობამ. თუ არბიტრი უარს აცხადებს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერაზე ან/და განსხვავებული აზრი აქვს, უნდა გაკეთდეს შესაბა მისი ჩანაწერი. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი და ადგილი.

15.6 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს იმ მოტივებზე მითითებით, რომელთა საფუძველზედაც არბიტრაჟმა გამოიტანა გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარბიტრაჟო შეთანხმება ითვალისწინებს სამოტივაციო ნაწილის არარსებობას, ან როდესაც საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია ამ კანონის 15.9-15.11 მუხლების შესაბამისად.

15.7 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ასლები უნდა გადაეცეთ მხარეებს.

15.8 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან, თუ მხარეთა მიერ ან კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

15.9 თუ საარბიტრაჟო განხილვისას მხარეები მორიგდნენ, არბიტრაჟი შეწყვეტს განხილვას. არბიტრაჟი, მხარეთა თხოვნის საფუძველზე, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით დაამტკიცებს მხარეთა

მორიგებას შეთანხმებული პირობებით.

15.10 არბიტრაჟი ვალდებულია გამოიტანოს გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ მხარეთა მიერ მორიგების თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ვადაში.

15.11 მორიგების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით. ასეთ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორიც დავის არსებითად განხილვის შედეგად გამოტანილ ნებისმიერ სხვა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.

## მუხლი 16. საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტა.

16.1 საარბიტრაჟო განხილვა წყდება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ხელმოწერისა და მხარეთათვის გადაცემის შემდეგ ან ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, არბიტრაჟის დადგენილების საფუძველზე.

16.2 არბიტრაჟი უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტის შესახებ შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ საარბიტრაჟო მოსარჩელე უარს აცხადებს საარბიტრაჟო სარჩელზე, გარდა იმ შემთხვე ვისა, როდესაც საარბიტრაჟო მოპასუხე წინააღმდეგია საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტისა და არბიტრაჟი მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეს აქვს საარბიტრაჟო დავის გადაწყვეტის კანონიერი ინტერესი;

ბ) თუ მხარეები შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის შეწყვეტაზე;

გ) თუ არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო განხილვის გაგრძელება რაიმე სხვა მიზეზით

არ არის აუცილებელი ან შეუძლებელია.

## მუხლი 17. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესწორება და განმარტება, დამატებითი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

17.1 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების მიღების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში:

ა) მოსთხოვოს არბიტრაჟს, გაასწოროს შეცდომა, რომელიც დაშვებულ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში მოცემულ გაანგარიშებებში, აგრეთვე მისი წერითი, ბეჭდური ან სხვა ამგვარი შეცდომები;

ბ) მხარეთა შეთანხმების არსებობისას მოსთხოვოს არბიტრაჟს, მისცეს განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების რომელიმე კონკრეტულ საკითხთან ან ამ გადაწყვეტილების რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით.

17.2 არბიტრაჟმა, თუ იგი მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 30 დღის ვადაში უნდა შეიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაში შესაბამისი შესწორება ან უნდა მისცეს შესაბამისი განმარტება. ასეთი განმარტება საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ნაწილია.

17.3 არბიტრაჟი უფლებამოსილია, გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში თავისი ინიციატივით გაასწოროს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მითითებული შეცდომა.

17.4 თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, თითოეულ მხარეს მეორე მხარისათვის შეტყობინების შემდეგ უფლება აქვს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მოსთხოვოს არბიტრაჟს, გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება იმ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც განცხადებული იყო საარბიტრაჟო განხილვის მიმდინარეობისას, მაგრამ არ იქნა ასახული გადაწყვეტილებაში. არბიტრაჟმა, თუ იგი ამ მოთხოვნას დასაბუთებულად მიიჩნევს, მისი მიღებიდან 60 დღის ვადაში უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება.

17.5 არბიტრაჟს, აუცილებლობის შემთხვევაში, შეუძლია არა უმეტეს 30 დღით გააგრძელოს ვადა, რომლის განმავლობაშიც მან უნდა გაასწოროს შეცდომა, უნდა მისცეს განმარტება ან უნდა გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება ამ მუხლის შესაბამისად. თუ მხარეთა ან არბიტრაჟის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, უკვე გამოტანილი გადაწყვეტილება ძალაში რჩება შესწორების შეტანის, განმარტების მიცემის ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის განმავლობაში.

## მუხლი 18. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრება და შეჩერება

18.1 არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს სასამართლოში. სასამართლოს უფლება აქვს გააუქმოს ან შეაჩეროს არბიტრაჟის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად.

18.2 სასამართლოს, რომელსაც მიმართეს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით, უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების გაუქმების განხილვა თავის მიერ დადგენილი ვადით, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, რათა არბიტრაჟს მიეცეს საშუალება განხილვის განახლებისა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული საფუძვლით საქმის განხილვის შეჩერების შესახებ სასამართლო უწყებით ატყობინებს არბიტრაჟს საქმის განხილვის შეჩერებიდან 3 დღის ვადაში. ასეთი შეტყობინების მიღების შემდეგ არბიტრაჟი განაახლებს საქმის განხილვას სასამართლოს მიერ მიცემული ვადით, კანონით და დებულებით დადგენილი საერთო წესების შესაბამისად.

## მუხლი 19. საქმის წარმოების შეჩერება და განუხილველად დატოვება

19.1 არბიტრაჟი (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე) უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით შეაჩეროს ან გადადოს საქმის განხილვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ან იმ იურიდიული პირის არსებობის შეწყვეტისას, რომელის საქმეში მხარეს წარმოადგენს;

ბ) მხარე იმყოფება სამკურნალო დაწესებულებაში ან ავად არის, რის გამოც საშუალება არ აქვს გამოცხადდეს არბიტრაჟში და ეს დასტურდება სამედიცინო დაწესებულების ცნობით;

გ) მხარე იმყოფება ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში;

დ) გამოცხადებულია მოპასუხის ძებნა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ე) თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული წესით, ან თუ საარბიტრაჟო განხილვისას აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საკითხზე, რომელიც საარბიტრაჟო განხილვის საგანია და რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს განხილვის შედეგებზე;

ვ) არბიტრაჟმა დანიშნა ექსპერტიზა;

ზ) სხვა აუცილებლობის შემთხვევაში.

19.2 საქმის წარმოება განახლდება იმ გარემოებათა აცილების შემდეგ, რომლებმაც გამოიწვია წარმოების შეჩერება.

19.3 არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით განუხილველად დატოვოს საარბიტრაჟო სარჩელი დებულებით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომლებიც საფუძვლად დაედო სარჩელის განუხილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს მუდმივმოქმედ არბიტრაჟს საერთო წესის დაცვით.

## მუხლი 20. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება

20.1 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულოა და სასამართლოში წერილობითი შუამდგომლობის წარდგენის შემთხვევაში უნდა აღსრულდეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე და 45-ე მუხლის დებულებათა გათვალისწინებით.

20.2 საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულება ხორციელდება სასამართლოს განჩინების საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

## მუხლი 21. გარდამავალი დებულებები

21.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის 2010 წლის 1 იანვრიდან.

21.2 დებულების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" 2003 წლის 3 ოქტომბრის კრების ოქმით დამტკიცებული დებულება.

21.3 არბიტრაჟის წარმოებაში არსებული 2010 წლის 1 იანვრამდე დაწყებული, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საარბიტრაჟო დავები განიხილება „კერძო არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონით განსაზღვრული წესით და შპს „სამოქალაქო საქმეთა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის" 2003 წლის 3 ოქტომბრის კრების ოქმით დამტკიცებული დებულებით, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ აღნიშნული დავების „არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით და წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით განხილვაზე.

21.4 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დავებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება უნდა განხორციელდეს „არბიტრაჟის შესახებ" კანონის 44-ე და 45-ე მუხლით განსაზღვრული წესით.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთმა პირველ ავიარეისებს თბილისიდან ნება დართო

**რუსეთმა საქართველოს ავიაკომპანიას უფლება მისცა განახორციელოს ჩარტერული რეისები მოსკოვში და სანქტ-პეტერბურში 29 და 30 დეკემბერს, მაგრამ საქართველოს მხარე მზად არ აღმოჩნდა ამისთვის**



რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტრომ ორშაბათს ნება დართო „ჯორჯიან აირვეისის“ ფრენას სათანადო შეკითხვაზე პასუხის მიღების შემდეგ რუსეთში სათანადო ნებართვის არსებობასთან დაკავშირებით.

„ხვალ და ზეგ რეისები არ შედგება. ჩვენ ვერ ვასწრებთ. მაგრამ რეისები შედგება 6-დან 25 იანვრამდე“, – განაცხადა კომპანიის პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა. მან არ დააზუსტა, გადასცა თუ არა კომპანიამ რუსეთის მხარეს სათანადო დადასტურებანი რუსეთში რეისების განხორციელების უფლებასთან დაკავშირებით.

როგორც რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო იუწყება, საქართველოს საავიაციო ხელისუფლებამ დაადასტურა, რომ ხსენებული კომპანიის უფლება ეკუთვნის საქართველოს მხარეს და რომ ავიაკომპანიას არ გააჩნია დავალიანება რუსეთის ფედერაციაში აეროსანავიგაციო მომსახურებისთვის.

ადრე საქართველოს ხელისუფლება ითხოვდა რუსეთისგან ნებართვას ათი ჩარტერული გაფრენის შესრულებასთან დაკავშირებით საახალწლო დღესასწაულების დროს – 26-დან 30 დეკემბრამდე და 6-დან 10 იანვრამდე.

მოლაპარაკება ამასთან დაკავშირებით ჩიხში შევიდა. მაგრამ ტრანსპორტის სამინისტრომ ასევე გვაცნობა, რომ მოსთხოვეს საქართველოს მხარეს ჩარტერული რეისების მოთხოვნილების აუცილებლობას მომავალი წლის 5-დან 10 იანვრამდე.

პირდაპირი ავიამიმოსვლა ორ ქვეყანას შორის შეწყდა 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტის დაწყების შემდეგ. მოსკოვის თვალსაზრისით, სწორედ საქართველოს ხელისუფლება აჭიანურებს საკითხის საბოლოო გადაწყვეტას ავიარეისების განახლების თაობაზე.

9 დეკემბერს რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ იგი ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავს მოსკოვსა და თბილისს შორის პირდაპირი ავიამიმოსვლის განახლებისთვის.

რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერმა სერგეი ივანოვმა ამავე დროს წამოაყენა კიდევ ერთი პირობა ორი ქვეყნის დედაქალაქებს შორის ფრენების აღდგენასთან დაკავშირებით.

„საქართველოს მთავრობამ უნდა მოგვცეს ჩვენი ეკიპაჟების უშიშროების გარანტია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ „არ აღმოუჩენენ“ ნარკოტიკებსა და იარაღს“, – განაცხადა ივანოვმა გასულ კვირას.

BBC RUSSIAN.com

# პრაგმატიზმი რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესებისკენ უბიძგებს

**კრემლის ლიდერები და საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ აგრძელებენ მკაცრი თავდასხმების გაცვლას ერთი-მეორის მისამართით, თუმცა გასროლებისა და აფეთქებების ხმა შარშანდელი ხანმოკლე ომის შემდეგ რუსეთსა და საქართველოს შორის უკვე აღარ გაისმის დიდი ხანია**

მაგრამ გამოჩნდა და თანდათან იზრდება ხმები შესაძლო დიპლომატიური დაახლოების შესახებ, ექსპერტები კი საუბრობენ იმის შესახებ, რომ პრაქტიკული აუცილებლობა უკარნახებს ორ მოწინააღმდეგეს, როგორც მინიმუმი, ნაწილობრივ მაინც მოაწესრიგონ თავიანთი უთანხმოებანი.

დაახლოების ნიშნებს შორის არის გასულ კვირას მიღწეული შეთანხმება ერთადერთი სასაზღვრო გადასასვლელის გახსნის შესახებ კავკასიის უდიდეს ავტომაგისტრალზე, აგრეთვე შესაძლო შეთანხმება პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახლების შესახებ.

„საქართველოში გაბატონებულია აზრი რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების აუცილებლობის შესახებ და ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით“, – აღნიშნავს კონფლიქტებისა და მოლაპარაკების თბილისის დამოუკიდებელი ცენტრის დირექტორი გიორგი ხუციშვილი.

„ის ფაქტი, რომ ორი ქვეყნის ხელმძღვანელებს შორის არის საშინელი პიროვნული ურთიერთობანი და რომ ისინი ცუდ რამეებს ლაპარაკობენ ერთი-მეორის შესახებ, არ ქმნიან სათანადო საფუძველს სახელმწიფო პოლიტიკისათვის. ჩვენ უნდა გადავლახოთ ეს“, – დაუმატა მან.

შარშან რუსეთსა და საქართველოს შორის იფეთქა ხანმოკლე ომმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული ტერიტორიების გამო.

ამის შემდეგ ურთიერთობანი მთლიანად გაიყინა.

პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინიც, პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც არ იშურებენ მრისხანე ბრალდებებს სააკაშვილის მისამართით, რაც პიროვნულ ხასიათს ატარებს. როგორც ჩანს, კრემლს იმედი ჰქონდა იმისა, რომ ჩამოაგდებდნენ საქართველოს პრეზიდენტს ოპოზიციის პროტესტის დროს, რომლებიც გაიმართა მიმდინარე წელს, მაგრამ ამას წარმატება არ ჰქონია.

მაგრამ მედვედევმა ამ თვეში განაცხადა, რომ მხარს უჭერს პირდაპირი ავიამიმოსვლის აღდგენას მოსკოვსა და თბილისს შორის, ხოლო რუსეთის სასაზღვრო სამსახური მიესალმა გასულ კვირას მიღებულ გადაწყვეტილებას სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის „ზემო ლარსის“ გახსნის შესახებ და განაცხადა, რომ „არის ორმხრივი მოთხოვნა საერთაშორისო გადაზიდვების აღდგენის შესახებ რუსეთსა და საქართველოს შორის“.

სახმელეთო სატრანსპორტო მიმოსვლის შეწყვეტის შედეგად სერიოზული ზიანი მიადგა რუსეთის ერთადერთ მოკავშირეს კავკასიაში – სომხეთს. მოსკოვს „ცივი ომის“ დროიდან სომხეთში აქვს სამხედრო გარნიზონი ათასზე მეტი კაცის შემადგენლობით და მას ყოველთვის უჩნდება პრობლემები ამ გარნიზონის მომარაგების საქმეში.

სააკაშვილიც, თავისი მხრიდან, მრავალგზის სდებდა ბრალს რუსეთს მისი ჩამოგდების მომზადებაში. გასული კვირის ბოლოს მან კვლავ დაადასტურა ეს ბრალდება, როდესაც სიტყვით გამოდიოდა.

„რუსეთმა ყველა შესაძლო საშუალება გამოიყენა იმისთვის, რომ გაგვანადგუროს, მათ შორის ომიც, ოკუპაციაც და შპიონაჟიც“.

სააკაშვილმა აგრეთვე მოუწოდა ქართველებს მოემზადონ რუსეთის ახალი შემოჭრისთვის. „საქართველოს თითოეული მოქალაქე მზად უნდა იყოს თავდაცვისთვის, თითოეული სახლი უნდა გახდეს მტრის თავდასხმის წინააღმდეგობის კერა“, – განაცხადა მან.




ამავე დროს, ტონალობაში, რომელიც მისგან არ მოუსმენიათ შარშანდელი ომის დამთავრების შემდეგ, სააკაშვილმა დაუმატა: „საქართველოს არ შეიძლება სურდეს ცუდი ურთიერთობანი რუსეთთან. ჩვენ ხომ გიჟები არა ვართ“.

რუსეთში ცხოვრობს და მუშაობს თითქმის ერთი მილიონი ქართველი და მათი ფულადი გზავნილები ეკონომიკურად სუსტი საქართველოსთვის არის სავალუტო შემოსავლის მნიშვნელოვანი წყარო.

მართალია, შიში რუსეთში მცხოვრები ქართველების მიმართ შესაძლო მასობრივი რეპრესიების შესახებ არ გამართლდა, ქართული სათემოს წევრები მაინც ძველებურად შეშფოთებული არიან.

„შეუძლებელია გეოგრაფიული რუკის გადაკეთება, ამიტომ რომელიღაც ეტაპზე ურთიერთობა უნდა მოვაწესრიგოთ, – ამბობს რუსეთში ცნობილი ტელეწამყვანი ნიკოლოზ სვანიძე, რომელიც საქართველოშია დაბადებული, – თუმცა ურთიერთობანი ორ სახელმწიფოს შორის ცუდია, ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ ჩვენს ხალხებს შორის მტრობის თავიდან ასაცილებლად“.

მაგრამ ექსპერტები საუბრობენ იმის შესახებ, რომ დათბობის ტენდენცია ადვილად შეიძლება გაირღვეს საქართველოს სადავო საზღვრებზე და თვითგამოცხადებულ მინისახელმწიფოებში სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის მიერ ორგანიზებული პროვოკაციების გამო, აგრეთვე სხვა მოვლენებთან დაკავშირებით, ისეთებთან, როგორიცაა გასულ კვირას ქალაქ ქუთაისში საბჭოთა ეპოქის სახედრო მემორიალის ნგრევა.

„როგორც ჩანს, საქართველოს მმართველ წრეებში არის გარკვეული დაჯგუფება, რომელიც წინააღმდეგია რუსეთთან ნებისმიერი შერიგებისა და მას შეუძლია გაართულოს სიტუაცია, როდესაც აკეთებს ისეთ რამეს, როგორიცაა ამ სამხედრო ძეგლის ნგრევა, – ამბობს ხუციშვილი, – სავსებით ცხადია, რომ ამისთვის მომენტი შეირჩა მეტად შეუფერებელი და, მკაცრი რეაქცია გვიჩვენებს, თუ რამდენად მყიფიერი შეიძლება აღმოჩნდეს ნორმალიზაციის პროცესი“.

The Christian Science Monitor

სს „ფოთის წისქვილქარხანა“ აცნობებს მის აქციონერებს, რომ ამა წლის 25 დეკემბერს აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ცვლილებასთან დაკავშირებით. სს „ფოთის წისქვილქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრად ოთხი წლის ვადით აირჩიეს ბაია შავიშვილი, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე – თამაზ მიქაძე და სამეთვალყურეო საბჭოს წევრი – ლანა ბერულავა დარჩნენ დაკავებულ თანამდებობებზე.

დეტალური ინფორმაციის გასაცნობად მოგვმართეთ სს „ფოთის წისქვილქარხნის“ ადმინისტრაციას. ტელ: 877 42 51 11, გიორგი.

ქ. თბილისის 129-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზუფრუქტის ხელშეკრულებით დამტკიცებული სკოლის შენობის I სართულზე განთავსებული 6 კვ.მ. ფართის იჯარით გასაცემად სკოლის ბუფეტის ფუნქციონირებისათვის. საიჯარო ურთიერთობების მაქსიმალური ვადა – 5 წელი.

განცხადებები მიიღება გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში №129 საჯარო სკოლის დირექციაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით: ქ. თბილისი, სამღერეთის ქ. 9. ტ. 899 43 82 52.

## დედამიწის ზურგზე



**მეკობრეებმა გაიტაცეს ბრიტანული ტანკერი, რომლის ბორტზეც რუსები არიან**

გემი მიდიოდა ესპანეთიდან ტაილანდში. ამჟამად იგი მიჰყავთ სომალის სანაპიროებისკენ. ეკიპაჟში შედიან რუსეთის, უკრაინის, საქართველოს, ბულგარეთის, რუმინეთის, ფილიპინების, პოლონეთის, ინდოეთისა და თურქეთის მოქალაქეები.

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ააგო ურანის გამამდიდრებელი ქარხანა პაკისტანის დახმარებით, ამტკიცებს პაკისტანის ატომური ბომბის მამა**

მეცნიერის სიტყვები, რომელსაც ისლამაბადმა 2004 წელს ბრალი დასდო ბირთვული ტექნოლოგიებით უკანონო ვაჭრობაში, ნიშნავს, რომ ჩრდილოეთ კორეას შეუძლია არა მხოლოდ შექმნას ჭურვები პლუტონიუმისგან, არამედ იარაღიც ურანის სატენით. ექსპერტები ეჭვობენ, რომ კორეის სახალხო- დემოკრატიულ რესპუბლიკას შეეძლებოდა ამ ტექნოლოგიების გამოყენება.

**ჩინეთში სიკვდილით დასაჯეს ბრიტანელი ოთხი კილოგრამი ჰეროინის შემოტანისთვის**



53 წლის აკმალ შეიხი დააკავეს ქალაქ ურუმჩის აეროპორტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩრდილო-დასავლეთში. მისმა ნათესავებმა რამდენჯერმე სთხოვეს ჩინეთის ხელისუფლებას, მიიღოს მხედველობაში შეიხის დიაგნოსტირებული ფსიქიკური მოშლილობა. ბრიტანეთის პრემიერმა დაგმო სიკვდილით ეს დასჯა.

**ტიმოშენკომ იანუკოვიჩი ტელედებატებში გამოიწვია**

უკრაინის პრემიერმა ისარგებლა, მისი სიტყვებით, შესაძლებლობით, როდესაც გამოდიოდა ერთ-ერთი ტელეარხის პროგრამით „სიტყვის თავისუფლება“, რათა მოუწოდოს თავის მთავარ ოპონენტს მომავალ არჩევნებში „საჯარო საუბრისთვის“.

**ბაიკონურიდან გაუშვეს „პროტონ-მ“-ის მატარებელი ამერიკული კავშირგაბმულობის თანამგზავრით**

კოსმოსური აპარატი, რომლის სასტარტო წონა 5940 კილოგრამია, დამზადებულია „ბოინგის“ კომპანიის მიერ ამერიკული სათანამგზავრო ოპერატორის დაკვეთით. მისი დანიშნულებაა კავშირგაბმულობისა და სატელევიზიო მომსახურების უზრუნველყოფა ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე, ალიასკასა და ჰავაის კუნძულებზე.



ლაურეატები

# ჟურნალისტთა რჩეულნი



**წლეულს ორმოცდამეოთხედ გაიმართა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფერენდუმი, რომელმაც ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენი გამოავლინა. 326 ხმით პირველი ადგილი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავემ, მსოფლიოს მეორე და ევროპის მესამე პრიზიორმა მანუჩარ ცხადაიამ დაიკავა.** 302 ხმით მეორე ადგილზე ტყვიის სროლაში ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე გავიდა, რომელმაც წლეულს მერვედ დაიმსახურა სუპერთასი და ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი ხვდა. 231 ქულით მესამეა კრივში მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი კობა ფხაკაძე. საუკეთესოთა ათეულში მომდევნო ადგილებზე მოდიან კალათბურთელი ვიქტორ სანიკიძე – 203, ძალოსანი ალბერტ კუზილოვი – 198, ძიუდოისტი ვარლამ ლიპარტელიანი – 185, თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე – 182, კალათბურთელი ზაზა ფაჩულია – 180, მოჭადრაკე ნანა ძაგნიძე – 161, სამბისტი უშანგი კუზანაშვილი – 102 ხმა.

საუკეთესო სპორტსმენების გამოვლენა ყველა სახელმწიფოში პრესტიჟულად ითვლება. ჩვენთანაც ასე იყო და ამიტომაც ყოველწლიურად იგი დიდი ზარ-ზეიმით იმართებოდა, წლეულს კი საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას გვერდით არავინ დაუდგა, რომ რჩეულთათვის საზეიმო საღამო მოეწყოთ და თუნდაც სიმბოლური საჩუქრები დაერიგებინათ, არადა, სახელმწიფოში რამდენი ფულიანი კაცია, რომლებიც ამ ლონისძიების საფასურს ყოველდღიურად, ალბათ, მზესუმზირაში ხარჯავენ. ცხადია, არავის ჯიბის სისქე არ გვაინტერესებს, გულსატკენი ის არის, საშვილიშვილო საქმეში სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას თანამდგომი რომ არავინ გამოუჩნდა.

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი

# „დინამოში“ შობა გაილამაზა



**კალათბურთელ ვაჟთა XIX ეროვნული ჩემპიონატის I წრის ფინიშს გუნდები შეთხელებული შემადგენლობებით შეხვდნენ – ეტყობა, ბიჭებს სპონსორები იმდენ ფულს უხდიან, რომ ისინი წინასაახალწლო ბაზრობებიდან სპორტის სასახლემდე დროულად მისვლას ვერ ასწრებენ.**

ეს ისე, ხუმრობით, თუმცა სერიოზულად მსჯელობის საშუალებას არც IX ტურის მატჩების სიუჟეტი გვაძლევს – ფავორიტებმა უპრობლემოდ დაჯაბნეს მეტოქეები.

გამონაკლისს თბილისის „დინამოსა“ და შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის თამაში წარმოადგენს, რომელიც ზაზა ცაგარეიშვილის შეგირდთა სენსაციური გამარჯვებით დასრულდა – 73:72. არადა, დასკვნით პერიოდამდე მოვლენები ამ წყვილის დუელშიც ისე ვითარდებოდა, რაიმე მოულოდნელობაზე ვერც იფიქრებდა კაცი – ძალოვნები სტაბილურად ინარჩუნებდნენ 15-20 ქულიან უპირატესობას.

„თეთრ-ლურჯთა“ მდგომარეობა განსაკუთრებით მას შემდეგ დამძიმდა, რაც 5-5 პერსონალური შენიშვნის გამო ბრძოლას ჯანგველაძე და ექვთიმიძე გამოაკლდნენ. სწორედ ამის შემდეგ მოხდა საოცრება – თითქოს ასეთ დანაკლისს



უცდიდნენო, არნახულად გააქტიურდნენ ნოზაძე, სიგუა და ლონდარიძე, რაც ძლევაი საკვირველისთვის საკმარისი აღმოჩნდა – 73:72.

**დანარჩენი შედეგები:** „ავიამშენი“ – ჭიათურა 125:63 (ათუაშვილმა ავიატორებს 32 ქულა შესძინა, ნინიაშვილმა – 30 ქულაძ, თსუ – სამედიცინო აკადემია 93:64 (გამარჯვებულთა სნაიპერების მონაგარი ასეთია: ბარბაქაძე – 27, ფანჩულიძე – 21, კეიდია – 19, ლოსაბერიძე – 18 ქულაძ, ბათუმი – სოხუმი 97:74, „ენერჯი ინვესტი“ – საუ 85:70.

**სატურნირო მდგომარეობა I წრის შემდეგ:** „ენერჯი ინვესტი“ – 9, თსუ – 8, საუ – 7, ბათუმი – 6, შსს, სოხუმი, „ავიამშენი“ – 4-4, „დინამო“ – 3, სამედიცინო აკადემია – 1, ჭიათურა – 0 მოგება.

**ჯემალ კასრაძის ფოტო**

მშვილდოსნობა

# სამ ასაკში იასპარეზეს

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დამთავრდა მშვილდოსანთა დედაქალაქის პირველობა. შეჯიბრებაში 45 ჩუბინი მონაწილეობდა სამ ასაკობრივ ჯგუფში. გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**



**ქალები.** 1. ქრისტინე ესებუა, 2. რუსუდან შავერდაშვილი, 3. ნინო უბირია.

**კაცები.** 1. შალვა წიბლიაშვილი, 2. დავით ჭელიძე, 3. ლაშა მაჩაიძე.

**ახალგაზრდები.** 1. ანანო წიბლიაშვილი და გრიგოლ მაყაშვილი, 2. ლალი ოდოშაშვილი და ზურაბ შურღაია, 3. მირანდა ნამიჭეიშვილი და ალექსანდრე ტალახაძე.

**კადეტები.** 1. ინოლა ბერაძე და ზურაბ ქურხაშვილი, 2. ნინო მეკოკიშვილი და გიორგი წიბლიაშვილი, 3. ქეთევან მაკარაშვილი და გოგა კაპანაძე.

ბენდელას თასი

# მინის ეპოქის დასასრული

**ქართული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი თბილისის „დინამო“ უტიტულოდ არც წლეულს დარჩა – კახი კაჭარავას შეგირდებმა სეზონის დამაგვირგვინებელი ასპარეზობა „ბენდელას თასის“ XVIII გათამაშება მოიგეს. ფინალში „თეთრ-ლურჯებმა“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს სძლიეს – 4:2. მესამე პრიზიორები დედაქალაქის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლები გახდნენ, რომლებმაც ოზურგეთელები დაჯაბნეს – 7:2. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი თსუ-ს უბერებელი ლიდერი ლევან ცქიტიშვილი გახდა.**



არანაკლებ საინტერესოდ განვითარდა მოვლენები ბავშვთა შორისაც, სადაც უკვე მერვედ მთავარი პრიზი „ოლიმპმა“ მოიპოვა. ფინალში ნოდარ ჭელიძის ბიჭებმა „მერანს- სძლიეს – 2:1. საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე „საბურთალო“ ავიდა.

როგორც ზაზა ბენდელიანის მემორიალის ორგანიზატორმა კახა ჭუმბურიძემ განაცხადა, გაისად აღნიშნული შეჯიბრება მინი-ფეხბურთის სარბიელიდან სტანდარტული ზომის სტადიონებზე გადაინაცვლებს.

ინტერნეტიდან

## „გაზპრომი“ უარს ამბობს

**კონცერნმა „გაზპრომმა“ ინტერესი არ გამოიჩინა სოჭის ოლიმპიადის სპონსორობისადმი და არ აპირებს ოლიმპიური კონტრაქტის ყიდვას. ის კი საშუალებას მისცემდა რეკლამის მიზნით ოლიმპიური სიმბოლიკის გამოყენებაზე.**

„ჩვენ სოჭში უკვე ვანხორციელებთ მსხვილ პროექტებს და სწორედ ეს მიგვაჩნია ჩვენს წვლილად ოლიმპიადის მომზადებაში. „გაზპრომი“ არ მუშაობს სხვადასხვა მომხმარებელთან, ამიტომ რეკლამა არ სჭირდება.

არაფერი დასაძრახისი ამ გადაწყვეტილებაში არაა, ეს „გაზპრომის“ უფლებაა, – მიაჩნია პრემიერის პრესმდივანს. მთავრობა კი კონტრაქტის დადებას ვერ დააძალებს მას.

„გაზპრომს“ ისედაც ძალზე მაღალი მაჩვენებლები აქვს სპონსორულ პროექტებში მონაწილეობით როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ.

როგორც „სოჭი-2014“ საორგანიზაციო კომიტეტში აცხადებენ, სპონსორულმა შენატანებმა უკვე მიაღწია



1 მილიარდ დოლარს, ეს კი სარეკორდო მაჩვენებელია, ამ დროს თეთრი ოლიმპიადისთვის ნაგანოში 163 მილიონი დოლარი შევიდა, სოლტ-ლეიქ-სიტიში 494 მილიონი დოლარი, ხოლო ტურინში – 348 მილიონი დოლარი.

## ბრძოლა ჯუნგლებში?



**ბრიტანელმა მოკრივემ დევიდ ჰეიმ გადაწყვიტა, მომავალი წლის შემოდგომაზე ბრძოლა გამართოს უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან აფრიკის კონტინენტზე, რითაც უნდა როგორმე წამოეწიოს ლეგენდარულ მოჰამედ ალის.**

პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში ჰეიმ განაცხადა, „მინდა, გავმართო ისტორიული გამაერთიანებელი ბრძოლა! დაე, ეს იყოს ახალი „ჩეხვა ჯუნგლებში“.

როგორც ჩანს, ჰეის უნდა თავისი კერპის მუჰამედ ალის გზით სიარული და მხედველობაში აქვს მისი 1974 წლის ბრძოლა ჯორჯ ფორმენთან, რომელიც კონგოს დედაქალაქ კინშასაში გაიმართა. თუ კი კლიჩკოსა და ჰეის ორთაბრძოლა გაიმართება, მაშინ ეს იქნება ბრძოლა WBC და WBA სერიების ქამრებისთვის.

„მართალია, ჩემი ტიტულის დაცვა შემეძლო ბრიტანეთსა და ლას-ვეგასში, განაცხადა WBA ვერსიის ჩემპიონმა, – მაგრამ როგორც მსოფლიო ჩემპიონს მინდა, მთელს მსოფლიოში, ყველა კონტინენტზე ვიბრძოლო. ყველას ახლოვს მოჰამედ ალი. ის ჩემთვის მუდამ იქნება უდიდესი გმირი“.

ჰეიმ ისიც განაცხადა, რომ უკვე დაიწყო ამ ბრძოლის თაობაზე მოლაპარაკება გაბონის პრეზიდენტთან. ეს არის ცენტრალური აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული, მდიდარი და სტაბილური ქვეყანა, საფრანგეთის ყოფილი კოლონია. მოლაპარაკება იანვარშიც გაგრძელდება, როცა იგი ანგოლაში ჩავა აფრიკული ერების თასზე ფეხბურთში.

## საშობაოდ შერიგდნენ

**„ჩელსის“ ფეხბურთელი ფრენკ ლემპარდი საშობაოდ შეურიგდა თავის ყოფილ შეყვარებულს ელენ რივასს.**

ამ ცოტა ხნის წინათ ლემპარდი ხვდებოდა სხვა ლამაზმანს – 30 წლის კრისტინ ბლეიკლის, მაგრამ ელენს მაინც დაუბრუნდა ქალიშვილების – ოთხი წლის ლუნასა და ორი წლის ისლის გამო. მგზნებარე და ვნებიანმა ესპანელმა ქალმა უკან დაიხია იმ პირობით, რომ



ფეხბურთელი კრისტინს აღარ გაეკარება. ამიტომ ვახშამზე სიმამრის სახლში დაპატიჟა.

ამ დღეებში რივასი რეკლამას უწევდა არაჩვეულებრივ ბიუსტჰალტერს, რომელსაც, მისი თქმით, ქალები დიდხანს ელოდნენ. ეს რევოლუციური ბიუსტჰალტერია, სხვადასხვანაირად გაკეთება რომ შეიძლება. სხვათა შორის ის ფრენკსაც ძალზე მოსწონსო.

## შპს „გეო ფარმა1“ აცხადებს აუქციონს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში (იჯარით) გაცემის მიზნით

აუქციონზე გამოტანილი იქნება შპს „გეო ფარმა1“-ის კაპიტალში არსებული ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ში, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. №73-ში, ახალციხეში, კოსტავას ქ. №31-ში, ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქ. №1-ში მდებარე ფართები

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

იჯარით გამცემი – შპს „გეო ფარმა1“

| იჯარით გასაცემი ძირითადი საშუალებების დასახელება | საწყისი ყოველთვიური საიჯარო ქირის ოდენობა ლარის ეკვივალენტში | იჯარის ხანგრძლივობა |
|---|---|---|
| 1. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №73, (137.02 კვ.მ) | 21 დოლარი (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 2. ქ. ბორჯომი, რუსთაველის ქ. №1, (126.63 კვ.მ) | 10 დოლარი (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 3. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში (3288.3 კვ.მ) | 8.20 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 4. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, სარდაფი (68.89 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 5. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №2 (13.23 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 6. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №3 (13.50 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 7. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №4 (12.20 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 8. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №5 (11.81 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 9. ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №6 (9.58 კვ.მ) | 7 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში (1 კვ.მ) | 12 თვე |
| 10. ქ. ახალციხე, კოსტავას ქ. №31, (123.33 კვ.მ) | 5 დოლარი (1 კვ.მ) | 12 თვე |

შესაძლოა ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2, ნაგებობა №1-ში მდებარე ფართის ცალ-ცალკე იჯარით გაცემა;

საააუქციონო პირობა:

საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები);

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა საააუქციონო რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ დოკუმენტები:

- განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, იმ ძირითადი საშუალების დასახელებას, რომლის იჯარით აღებაც სურს მონაწილეს და თანხმობას საააუქციონო პირობების შესრულების თაობაზე;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში);

**აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 30 დეკემბრიდან 2010 წლის 12 იანვრის ჩათვლით 11-დან 16 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 26 მაისის მოედანი №2.**

**აუქციონი ჩატარდება 13 იანვარს 14 საათზე.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 36 38 61**

შპს „გეო ფარმა1“

## „ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ქ. თბილისის აბონენტთა საყურადღებოდ

**„ახალი ქსელები“ და ახტელი“ თავის აბონენტებს სთავაზობს სატელეფონო და ინტერნეტ მომსახურების ახალ სატარიფო პირობებს:**

1. ტელეფონის დადგმა ტექნიკური საშუალების არსებობის შემთხვევაში (ოფისში/ბინაში) – 60 ლარი (2009 წლის 1 ნოემბრიდან);

2. ზონიდან ზონაში საქალაქთაშორისო სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება მცირდება 30 პროცენტით და შეადგენს (2010 წლის 1 თებერვლიდან):

– თბილისი – ქუთაისი – დღის სთ 10 თეთრი, ღამის სთ (24:8) 8 თეთრი;

– თბილისი – ზუგდიდი – დღის სთ 10 თეთრი (ღამის სთ (24:8) 8 თეთრი;

– თბილისი – დანარჩენი საქართველო – დღის სთ 12 თეთრი, ღამის სთ (24:8) 10 თეთრი;

3. ბინის სექტორის სატელეფონო კავშირით მომსახურების ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი (2010 წლის 1 თებერვლიდან):

I პაკეტი – 3 ლარი,

შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო საუბრებზე უფასო სალიმიტო დრო – 300 წუთი, ლიმიტს ზევით დამატებითი 1 წუთის ღირებულება დღის სთ 2 თეთრი, ღამის სთ (24:8) 1 თეთრი, გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი – 4 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთის ღირებულება – 28 თეთრი;

II პაკეტი – 5 ლარი,

შიდა ქსელში ადგილობრივი სატელეფონო საუბრები უფასო. გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთი – 4 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი – 28 თეთრი;

III პაკეტი, – 7 ლარი,

შიდა ქსელი უფასოა. გარე ქსელში (სხვა ოპერატორის ქსელის მიმართულებით) ადგილობრივი სატელეფონო საუბრების 1 წუთის ღირებულება 4 თეთრი, მობილური ქსელის მიმართულებით 1 წუთი – 22 თეთრი.

4. ინტერნეტ მომსახურება „სტანდარტ“ პაკეტის (სიჩქარე 256-512 კბ/წმ) – ყოველთვიური გადასახადი შემცირდა 20 პროცენტით (2009 წლის 1 ნოემბრიდან);

5. ინტერნეტის მიწოდება ოპტიკური კაბელის გამოყენებით („ეზერნეტ“ ტექნოლოგიის საშუალებით) – ყოველთვიური გადასახადი 12 ლარი (2009 წლის 1 ნოემბრიდან);

6. ახალი ქსელები და ახტელი გთავაზობთ ახალ პროდუქტს – ინტერნეტ ტელევიზიას (IPTV). პაკეტით განსაზღვრულია სულ მცირე – 30 არხი:

მოწყობა (ინსტალაცია):

– აბონენტებისათვის, რომლებიც სარგებლობენ ახალი ქსელების/IPTV

ახტელის ინტერნეტ მომსახურებით – 140 ლარი;

– აბონენტებისათვის, რომლებიც არ სარგებლობენ ახალი ქსელების/ახტელის ინტერნეტ მომსახურებით – 160 ლარი;

ყოველთვიური გადასახადი – 10 ლარი.

**შენიშვნა: ყველა ტარიფი მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.**

### სანთელი

## პირველად უშენოდ...



ახალ წელს პირველად ვხვდებით უშენოდ. ოთხი ათეული დღე ძნელად გვაგუებს ამ რეალობასთან, მაგრამ განგების ნებას ვერსად გავექცევით. შენს ოჯახს, მეგობრებსა და ახლობლებს სანუგეშოდ ისღა გვრჩება, რომ ცეზარ მოსიძემ ამქვეყნიური ცხოვრება ღირსებით განვლო, გულიანად და სიყვარულით აკეთე საკუთარი საკეთებელი, ვაჟკაცურად გაუძელი საქვეყნო და პირადულ გასაჭირსა და წუხილს, ირგვლივ უშურველად დათესე სითბო, ძმობა და სიყვარული.

გვეგონა, რომ ასე გაგრძელდებოდა მრავალჟამიერ, მაგრამ წუთისოფელი ხანმოკლე და ულმობელია, აქ დარჩენილებს სევდასა და მონატრებას არ გვაკლებს. თუმცა იმედად გვრჩება სასოება, კეთილი მოგონებები და ახალი თაობები, რომლებიც მამისა და ბაბუის უანგარო ღვაწლს უფრო დაამშვენებენ.

არც ერთი დღე არ გასულა, ჩვენო ცეზარ, რომ არ გიხსენებდეთ. სანამ ჩვენ ვართ, შენც ჩვენთან ერთად იქნები.

შენი ოჯახი და მეგობრები

თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოება ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ძირძველი ფოთელის, ფოთსა და ფოთელებზე შეყვარებულის, ცნობილი სამეურნეო მუშაკის

ჯემალ თოფურიას

გარდაცვალების გამო.

ჯემალ თოფურია დააკლდა არა მარტო ფოთსა და ფოთელებს, არამედ თბილისში მცხოვრებ ფოთელთა საზოგადოებასაც და მთლიანად საქართველოს, რამეთუ იგი არა მარტო წარმატებული სამეურნეო მუშაკი იყო, არამედ დიდი ქველმოქმედიც და, რაც მთავარია მისი ვაჟკაცური სული, ადამიანური ღირსებები საწინდარი იყო იმისა, რომ ბატონი ჯემალი გამორჩეული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა თბილისში მცხოვრებ ფოთელებს შორის.

თბილისში მცხოვრებ ფოთელთა
საზოგადოების გამგეობა

### ინფორმაცია

## ჩარტერული რეისები 6 იანვრიდან განახლდება

**ავიაკომპანია** „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის განცხადებით, ავიაკომპანიამ რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროსგან შესაბამისი ნებართვა უკვე მიიღო.

ჩარტერული რეისები ორ ქვეყანას შორის 29 დეკემბრიდან უნდა განახლებულიყო, თუმცა მოსკოვის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის თბილისისთვის დაგვიანებით გადმოგზავნისთვის, „აირზენამ“ ფრენების ორგანიზება ვეღარ მოასწრო.

6 იანვრის რეისებზე ბილეთების გაყიდვა ავიაკომპანიამ უკვე დაიწყო. მოსკოვის მიმართულებით პირველი თვითმფრინავი 12:30 საათზე გაფრინდება.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი ჩარტერული რეისების საშობაოდ გადადებას ქართულ მხარეს აბრალებს.

როგორც ლავროვის უწყების ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, თბილისი-მოსკოვისა და მოსკოვი-თბილისის მიმართულებით ავიარეისების საახალწლოდ განხორციელების საშობაოდ გადადება ქართული მხარის მიერ ტექნიკური საკითხების გაჭიანურებამ გამოიწვია.

– რეისების აღდგენას ჰუმანიტარული ხასიათი აქვს და თუ ის ვერ განხორციელდება, პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს უნდა დაეკისროს. რეისების აღდგენის გადაწყვეტილება იმის გამო მივიღეთ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობები გაღრმავდეს და ხალხმა კონტაქტი შესძლოს“, – აღნიშნულია განცხადებაში.

## ნაძვის ხეების ჭრაზე კონტროლი გამკაცრდა

**გარემოს** დაცვის სამინისტროს ინსპექციამ უკანონოდ მოჭრილი ნაძვის ხეები ამოიღო.

რეიდები დედაქალაქში ჩატარდა. საახალწლოდ მოწყობილ ბაზრობებზე უკანონოდ მოჭრილი 90 ძირი ნაძვის ხე იქნა აღმოჩენილი.

გოგა ხაჩიძის უწყებამ ნაძვის ხეების ჭრაზე წინასაახალწლოდ კონტროლი გაამკაცრა.

## ახი ამინდის პროგნოზი აღარ გაგვაწბილებს

**საქართველოში** ამინდის პროგნოზი კიდევ უფრო ზუსტი იქნება.

გარემოს დაცვის სამინისტრომ მეტეოროლოგიური სამსახურისთვის ახალი აპარატურა შეიძინა, რომელიც 700 ათასი ლარი დაჯდა.

ტექნიკა ძველ სისტემებს ეტაპობრივად ჩაანაცვლებს. ახალი აპარატურის მონტაჟი 2010 წლის მარტში დასრულდება. ტემპერატურის საზომი სისტემები მესტიაში, ამბროლაურში, რიკოთის უღელტეხილზე და ფოთში დამონტაჟდება. ინფორმაცია აღნიშნული ადგილებიდან თბილისს ახალი, თანამედროვე სატელეკომუნიკაციო სისტემების საშუალებით გადმოეცემა.

ჯიო-ეიჩ-ენი

## „მარგის“ კარგი საქმეები

# მთავარია რწმენა გქონდეთ!



**ფოტოგრაფი სკამზე შედგა, რომ კადრს მიღმა არავინ დარჩენილიყო.**

**პირველი რიგი ინვალიდის ეტლში ჩამსხდარ ბავშვებს ეკავათ, მეორე – აღმზრდელ-მასწავლებლებს.**

– აბა, უფრო მხიარულად! – მოუწოდა ზაზა მასწავლებელმა „ჩიტის“ მომლოდინეებს.

– ეგრე არ დარჩეთ ხალხო, დამთავრდა ფოტო-სესია, – გააფრთხილა ერთ-ერთმა წინარიგელმა სხვები.

...თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „მარგი“ ორი წელია, რაც არსებობს. სულ ახლახან „მარგმა“ 125 ბუღალტერ-მოანგარიშე გამოუშვა.

ამ პროფესიის გარდა აქ ეუფლებიან მდივან-რეფერენტის, ჭრა-კერვის, გიდის, ფოტოგრაფის, ფართო პროფილის რადიომემონტაჟის პროფესიებს.

მიუხედავად იმისა, რომ „მარგის“ პედკოლექტივი საქმის ნაკლებობას არ უჩივის, სასწავლებლის დირექტორმა **დავით უგულავამ** გადაწყვიტა დახმარებოდა ინვალიდ მოზარდებს და მათთვის კომპიუტერის ოპერატორობა შეესწავლებინა.

ამ კეთილშობილურ საქმეს საკმაოდ ბევრი საორგანიზაციო ბარიერის გადალახვა დასჭირდა, მაგრამ დირექტორის პრინციპულობამ და მიზნის მოტივმა, ნაყოფი გამოიღო.

ხუთი თვის განმავლობაში „მარგის“ მიკროავტობუსი თერთმეტ მოზარდს სახლებში აკითხავდა და სასწავლებელში მიჰყავდა. აი, რას გვიამბობს სასწავლებლის დირექტორის მოადგილე **ნელი გულუაშვილი**: – პროფესიის შესწავლა ინვალიდი მოზარდებისთვის თვითმიზანი არ ყოფილა, ჩვენი დიპლომით ნებისმიერ კურსდამთავრებულს მუშაობის უფლება ეძლევა. საზოგადოებასთან ურთიერთობა, იმის შეგრძნება, რომ მათი ნაშრომი ვიღაცას სჭირდება, მოზარდებს სრულფასოვნების რწმენას უნერგავს, რაც ასე აკლიათ, ზოგადად, უნარშეზღუდულ ადამიანებს.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც, ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა სალომე გარუჩავამ მუშაობა დაიწყო ნოტარიუსთა პალატაში.

ამ ორგანიზაციის მესვეურებს გადაწყვეტილი აქვთ სამსახური კიდევ რამდენიმეს შესთავაზონ.

იმედი გვაქვს მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ, – გვითხრა დასასრულს ქალბატონმა ნელიმ.

...ფოტო-გადაღების წინ „მარგის“ ადმინისტრაციამ თავისი კურსდამთავრებულები საახალწლო საჩუქრებით დააჯილდოვა.



**ჯემალ კასრაძე**
**ავტორის ფოტო.**

## დღის კალენდარი

### 30 დეკემბერი

**30-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.**

**წმიდა წინასწარმეტყველისა დანიელისა და სამთა ყრმათა: ანანია, აზარია და მისაილისა (600 ქრისტეს შობამდე); ღირსი დანიელ აღმსარებლისა (Xს.**



**ამოდის 07.28**
**ჩადის 16.37**



**ამოდის 07.01**
**ჩადის 15.31**

### დაიბადნენ:

39 – **ტიტუსი,** რომის იმპერატორი, ააშენა კოლიზეუმი.
1852 – **იონა მეუნარგია,** მწერალი, საზოგადო მოღვაწე, გარდაიცვალა 1919 წელს.
1904 – **დმიტრი კაბალევსკი,** კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1987 წელს.
1908 – **ზინოვი დუნაევსკი,** საბჭოთა კომპოზიტორი, გარდაიცვალა 1982 წელს.
1918 – **გიორგი მელიქიშვილი,** ისტორიკოსი. გარდაიცვალა 2002 წელს.
1922 – **ავთანდილ (ბასაძ ღოღობერიძე,** ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ კაპიტანი, გარდაიცვალა 1980 წელს.
1942 – **ვლადიმირ ბუკოვსკი,** მწერალი, დისიდენტი.

### გარდაიცვალნენ:

1944 – **რომენ როლანი,** ფრანგი მწერალი, დაიბადა 1866 წელს.
1987 – **ჯეიმს ბოლდუინი,** ამერიკელი მწერალი, დაიბადა 1924 წელს.

### მოვლენები:

**1547** – ივანე IV-მ (მრისხანემძ რუსეთის მეფის ტიტული მიიღო.
**1922** – საბჭოების პირველმა საკავშირო ყრილობამ მიიღო დეკლარაცია საბჭოთა კავშირის (სსრკძ შექმნის შესახებ (კონფედერაციის სახით, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, ბელორუსია, უკრაინა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებიძ. მოსკოვი აირჩიეს სსრკ-ს დედაქალაქად.
1991 – **დაიშალა საბჭოთა კავშირი.**

**მედიანიუსი**

**გაზეთის დღევანდელი ნომერი ორმოცდაოთხგვერდიანია**

## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +5 – +12 |
| ქუთაისი. | +10 – +17 |
| ბათუმი. | +10 – +13 |
| ზუგდიდი. | +8 – +13 |
| თელავი. | +1 – +4 |

## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6839 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4162 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7097 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.5320 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4129 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0965 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1151 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1099 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4660 ლარი |



## ანეკდოტები

ექიმი პაციენტს სინჯავს, მერე დიდხანს და ყურადღებით ათვალიერებს ავადმყოფის რენტგენის სურათს.

– რამდენი წლისა ბრძანდებით? – ეკითხება ბოლოს.

– ორმოცისა ვხდები.

– ვერ გახდებით... ვერ გახდებით...

* * *

ექიმმა პაციენტი გულდასმით გასინჯა, მერე მისი მეუღლე გაიხმო და უთხრა:

– რომ არ დაგიმალოთ, თქვენი მეუღლე არ მომწონს, ქალბატონო.

– არც მე მომწონს, ექიმო, მაგრამ ბავშვებს უყვართ და რა ვქნა?

* * *

ებრაელი საბჭოთა კავშირიდან ისრაელში აპირებს წასვლას.

– რატომ მიდიხართ? – ეკითხებიან კომისიის წევრები.

– ორი მიზეზის გამო. ერთი ის არის, რომ მეზობელი მემუქრება, როგორც კი საბჭოთა კავშირი დაინგრევა, ყელს გამოგჭრიო.

– მაგრამ თქვენ ხომ კარგად იცით, რომ საბჭოთა კავშირი არასოდეს დაინგრევა?

– აი, ეს უკვე მეორე მიზეზია.



* * *

ლეონიდ ბრეჟნევის ბინაში ტელეფონი რეკავს. ყურმილს გენმდივნის მეუღლე იღებს.

– თუ შეიძლება, ლეონიდ ილიჩს სთხოვეთ, – ისმის ყურმილში ქალის ხმა.

– ვინ ბრძანდებით? ეკითხება ბრეჟნევის მეუღლე.

– მისი თანაჯგუფელი ვარ.

– დადევი ყურმილი, შე ბოზო შენა, ლიონიას არასოდეს არსად უსწავლია...

* * *

ცივი ზამთარია. მოხუცი ცოლ-ქმარი ბუხარს მიფიცხებია.

– მოდი, ახალგაზრდობა გავიხსენოთ, ჩადი ბაღში შადრევანთან და პაემანზე დამელოდე, –ეუბნება ბებია ბაბუას.

წავიდა ბაბუა ბაღში. ელოდება ერთი საათი, ორი, სამი... სახლში გაბრაზებული დაბრუნდა.

– რად არ ჩამოხვედი, შე ბებერო, რად გამყინე ბაღში? – შეუღრინა ცოლს.

– რა ჩემი ბრალია, მინდოდა, მაგრამ დედიკომ არ გამომიშვა...

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

## გილოცავთ, კოლეგებო!

# „შანსის“ ახალი შანსი

რომ ეგონა პირველი დამოუკიდებელი გაზეთის „შანსის“ მთავარ რედაქტორს ბონდო ქურდაძეს, ყველა შანსი დავკარგე ჩემი გაზეთის მკვდრეთით აღდგომისაო, სწორედ მაშინ გამოჩნდნენ ღვთიან-მადლიანი, საქართველოს მომავალზე ღრმად დაფიქრებული მამულიშვილები და ერთ დროს პოპულარულ გაზეთს მეორე სიცოცხლე „ჩაუდგეს“ – ქართველმა მკითხველმა ცნობილი ჟურნალისტების ბონდო ქურდაძისა და მამუკა ვაშაკიძის ხელმძღვანელობით ახლახან მიიღო „მკვდრეთით აღმდგარი“ „შანსის“ პირველი ნომერი, რომელსაც ერთ დროს ამჟამინდელი პრეზიდენტიც რედაქტორობდა და ამჟამად პრესაზე განრისხებულია. იგი, მრავალფეროვანია, საჭირბოროტო და სახალისო (საახალწლოძ მასალებითაა სავსე და იმედს გვაძლევს, რომ ხვალ-ზეგ უკეთესი და უკეთესი გამოვა.

**თქვენი კეთილის მსურველი**







საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.